
# განთლების მუშაკი

გამოცემა საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირისა
ტფილისი
1927




განათლების სახალხო კომისარიატის დიაგრამა. გაიგზავნა უცხოეთში საბჭოთა გამოფენისათვის.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# განათლების მუშაკი

საქ. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური განმგეობის პედაგოგიური პროფესიონალური ორგანო.

5204




№ 3.

გამოსცემს საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირისა ცენტრალური

ნოემბრის 1-ლი
1927 წელი.

სტამბა
„ზარია ვოსტოკა“-სი,
წულუკიძის ქუჩა, № 4.
შეკვ. № 180 | მთავლ. № 3
ტირაჟი 3000.



ლენინი

ვლ. ბონჩ-ბრუევიჩი.


# ლენინის პირველი დღე

(პირადი მოგონებებიდან)

ჩვენ ვიცოდით, რომ ციურიხში მომწყვდეული ლენინი მოუთმენლად იღლტვოდა რუსეთისაკენ და, რასაკვირველია, ყოველ ზომებს ღებულობდა, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნებულიყო რუსეთში. მაგრამ არავითარი სწორი ცნობები მის შესახებ არ გვქონდა. მოულოდნელად ვიღაც დაბრუნებულმა ემიგრანტმა გადმოგვცა ლენინის „წერილები შორიდან", რომელიც მაშინვე დაიბეჭდა „პრავდაში". ეს იყო პირველი ცნობა ციურიხიდან, პირველი გამოძახილი ლენინისა რუსეთის გრანდიოზულ ამბებზე. ჩვენში გაიღვიძა ბუნდოვანმა იმედმა, რომ როგორმე წერილს მოჰყვებოდა თვითონ ავტორიც. მაგრამ მალე გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის „მოკავშირენი"—საფრანგეთი და ინგლისი—არ უშვებენ რუსეთში არც ლენინს, არც მასთან მყოფ ბოლშევიკებს და არც სხვა პოლიტიკურ ემიგრანტ-ინტერნაციონალისტებს, ვინაიდან ეშინოდათ მათი ანტიმილიტარისტული რევოლუციონური აგიტაციის.

მარტის დამლევს მოულოდნელად გავიგეთ, რომ ლენინი იმყოფებოდა შვეციაში, სტოკჰოლმში. როგორ, რანაირად ამოჰყო თავი იქ? მოახერხებს თუ არა იქიდან რუსეთში შემოსვლას? კარგად ვიცოდით, რომ ფინლიანდიის შვედურ საზღვარზე გაბატონებული იყვნენ ინგლისელები და ფხიზლად ათვალთვალებდენ როგორც რუსეთიდან მიმავალთ, ისე რუსეთში მომავალთ. პირველი სურვილი იყო როგორმე საჩქაროდ გვეცნობებია ლენინისათვის ყველაფერი, რაც რუსეთში ხდებოდა. მე მაშინვე გავუგზავნე მას გაზეთების დიდი კომპლექტი და თვით ჩავუჯექი გრძელი წერილის წერას, სადაც მინდოდა გამეშუქებია ყოველივე ის, რაზედაც გაზეთებში სდუმდენ, ან რაც ვერ აღწევდა გაზეთებამდი. გავიდა რამდენიმე დღე და უეცრად გავრცელდა ხმა, რომ ლენინი მოდის რუსეთში სხვა ემიგრანტებთან ერთად და აპრილის სამს პეტროგრადში იქნებაო. ეს ამბავი სრულიად მოულოდნელი იყო ყველასათვის.

პეტროგრადის კომიტეტმა და პარტიის ყველა წევრებმა, როგორც კი გაიგეს ეს ამბავი, იმ წუთშივე მიიღეს ყოველივე ზომები, რომ ეცნობებით მუშებისათვის ქარხნებში, სალდათებისათვის ყაზარმებში და მატროსებისათვის კრონშტადში. გაზეთები ამ დღეს არ იყო, ქარხნებში მუშაობა არ სწარმოებდა და ამიტომ ამ ცნობის გავრცელება არ იყო ადვილი.



ლენინი ტრიბუნაზე

დაახლოვებით საღამოს 7 საათისათვის ჩვენ თავი მოვიყარეთ ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტთან, რომელიც მაშინ მოთავსებული იყო ცნობილ ქსენინსკის ქალის ყოფილ სასახლეში; გავშალეთ ცენ. კომიტეტის დროშა და გავეს იეთ ფინლიანდიის სადგურისაკენ. სულ ვიენებოდით ორას კაცამდე და სრულებით არ ვიცოდით—ვინ მოვიდოდა სადგურზე. რაც უფრო ვუახლოვდებოდით, უფრო ხშირად ვხედებოდით მუშათა ჯგუფებს და ორგანიზაციებს. ისინი მწყობრი რიგებით და დროშებით მიდიოდენ სადგურისაკენ. ჩვენ შევუერთდით მუშების დიდ ჯგუფს, რომელიც მკყობრად მიდიოდა და შესდგებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან.

რევოლუციონური სიმღერები ეფინებოდა ჭუჩებს. სამხედრო ორკესტრები, რომელიც წინ უძღოდა არმიის ნაწილებს გვამხნევებდა და გვახალისებდა. როდესაც სადგურის მოედანს მივადექით, ის უკვე გაჭედილი იყო მუშათა და სამხედრო ორგანიზაციებით. მოვიდა ჯავშნიანი ავტომობილები და გაჩერდენ სადგურის სადარბაზო ოთახის გამოსავალთან როდესაც ჩვენ პირონზე გავდიოდით, თითქმის სირბილით მოვიდენ შეიარაღებული მატროსები. თურმე ისინი დასასვენებლად მოსულიყვნენ, მაგრამ როგორც კი გაიგეს კრონშტადტში, რომ პეტროგრადში ლენინი მოდისო, დაუკრავთ ბრძოლის საყვირი და მთელი მატროსები შეიარაღებულა სულ რამოდენიმე წამში. როდესაც გემებზე მყოფ მეზღვაურებს გაუგიათ—რაშია საქმე, მხიარული ყიჟინით შეგებებიან ამ ამბავს, მაშინვე შეუდგენიათ ძლიერი რაზმები საპატიო ყარაულისათვის ფინლიანდიის სადგურზე და ლენინის დასაცავად. მათ გამოგზავნეს წარმომადგენლები ყინვის მჭრელ უსწრაფეს გემზე და უბრძანეს, რაც უნდა მომხდარიყო დროზე მოსულიყვნენ. დრო კი ცოტაღა რჩებოდათ. ამიტომ აფრინეს გემი პირდაპირ პეტროგრადისკენ, რეიდზე გადასხდენ „კატერებზე", შემოვიდენ მდინარე ნევაში და მიადგენ ნაპირს სადგურიდან უახლოვეს ხიდთან.

იქიდან სირბილით მოვიდენ სადგურზე და მატარებლის მოსვლამდე სულ 20 წამით წინ დაიკავეს საპატიო ყარაულის ადგილი.

გთხოვთ გადასცეთ ამხ. ლენინს,—მომმართა აფიცერმა, რომელიც ხელმძღვანელობდა მატროსების საპატიო ჯარაულს,—რომ მატროსებს სურთ, რომ მან უთხრას მათ რამოდენიმე სიტყვაო.

მოუთმენელ მოლოდინში გადის რამოდენიმე წამი. აი, როგორც იქნა შორს გამოჩნდა სინათლე. მოსახვევში გველივით გაიარა განათებულმა მატარებელმა. გვიახლოვდება უფრო და უფრო... მოისმა მატარებლის თვლების ხმაურობა, დაიგრუხუნა, დაიქშინა ორთქლმავალმა და გაჩერდა...

მივაშურეთ ვაგონებს. ორთქლმავლიდან მეხუთე ვაგონის კარებში გამოჩნდა ლენინი, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და სხვა ამხანაგები.

—სმენა—ა!..—გაისმა ბრძანება საპატიო ყარაულისადმი. სამხედრო ნაწილებისადმი, მუშების შეიარაღებულ რაზმებისადმი, სადგურზე, მოედანზე... ორკეს-

ტრებმა დაუკრეს მისასალმებელი და მთელმა ჯარმა მისცა სამხედრო სალამი.

უცბად შესწყდა ადამიანთა ხმები, ისმოდა მხოლოდ ორკესტრის, ინსტრუმენტების ხმები და შემდეგ უცბად, ერთბაშად თითქოს ყოველივე შეირყა, შეტორტმანდა და იგრიალა ისეთმა ძლავრმა ისეთმა გულწრფელმა „ურამ", როგორიც მეარასოდეს არ გამიგონია.

ლენინი ის იყო უნდა წამოსულიყო ჩვენკენ თავისი აჩქარებულ ნაბიჯით და როცა იგრიალა ამ „ურამ", შეჩერდა, და თითქოს გაკვირვებულმა, იკითხა:

—ეს რაა?

—ეს თქვენ გესალმება რევოლუციონური ჯარი და მუშებიო—უთხრა ვიღაცამ.

ვუახლოვდებით მატროსებს. როცა ოფიცერი სამხედრო წესის მიხედვით „რაპორტს უკეთებდა", ლენინი გაკვირვებული მისჩერებოდა.

მე წავუჩურჩულე, რომ მატროსებს სურს მისი სიტყვის მოსმენა. ლენინი მიჰყვებოდა საპატიო ყარაულის მწკრივს. ხელმძღვანელმა ოფიცერმა სთხოვა უკან დაბრუნებულიყო.

ლენინმა გაირა რამდენიმე ნაბიჯი უკან საპატიო ყარაულის გასწვრივ, რომელიც მშვიდად და ზეიმით შეხვდა თავის ბელადს, შეჩერდა, მოიხადა ქუდი და წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი:


— მეზღვაურებო, ამხანაგებო, მოგესალმებით თქვენ! ჯერ კიდევ არ ვიცი, გჯერათ თუ არა თქვენ დროებით მთავრობის დაპირებები, მაგრამ კარგად ვიცი, რომ, როცა ტკბილ სიტყვებს გელაპარაკებიან, როცა ბევრსა გპირდებიან—გატყვილებენ თქვენ ისევე, როგორც ატყვილებენ მთელი რუსეთის ხალხს. ხალხს უნდა ზავი, ხალხს უნდა პური, ხალხს უნდა მიწა. თქვენ კი გაძლევენ ომს, სიმშილს, უპურობას, მამულებში სტოვებენ ბატონებს... მატროსებო, ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სოციალური რევოლუციისათვს, ვიბრძოლოთ ბოლომდე, პროლეტარიატის სრულ გამარჯვებამდე. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალურ რევოლუციას!

შემდეგ ის წავიდა სადგურის „სამეფო" დარბაზში, სადაც მას მიესალმენ პეტროგრადის აღმასკომის წარმომადგენლები. მათი მეთაური იყო ჩხეიძე. ეს სავალდებულო მისალმება შემთანხმებელ მენშევიკებისაგან იყო ერთობ უხალისო, ოფიციალური, აშკარა ფარისეველური.

როგორც კი ლენინი გამოვიდა სადგურის კარებიდან, როგორც კი დაინახეს ის, ისევ იგრიალა ყველაფრის დამფარავმა „ურამ", რომელიც შემდეგ გადვიდა მუშებისა და ჯარის ნაწილების აღტაცებაში. მუსიკის ორკესტრები, საერთო რევოლუციონური სიმღერების გუგუნი, ხმაურობა, ყვირილი.

როდესაც, ბოლოს, დაწყნარდა ხალხი, ლენინმა აქვე, კიბიდან წარმოსთქვა თავისი პირველი მისალმება შეკრებილი ხალხისადმი.

ჯავშნოსანთა რაზმმა სთხოვა შესულიყო ჯავშნოსანში, რომლითაც მიიყვანეს ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტში.



სტალინი

ა. ლუნაჩარსკი.

# მასების განათლება—ლენინის ანდერძია.


ათი წელი შეუსრულდა დედამიწის ზურგზე უდიდეს რევოლუციას. განუწყვეტელი კავშირითაა ის გადაბმული ვ. ი. ლენინის სახელთან. არც ერთ დიდ რევოლუციას, რომელიც დღემდის მომხდარა, არ წამოუყენებია ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ბელადი. კრომველი დიდი პიროვნება იყო, მაგრამ ის იყო ბელადი ერთი ქვეყნის სოფლის მსხვილი და წვრილი ბურჟუაზიისა. ვაშინგტონი უკეთილშობილესი ფიგურა იყო და მისმა მნიშვნელობამ, რომელიც უმთავრესად მდგომარეობდა ინგლისელების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, მოიპოვა საერთაშორისო ხასიათი იმით, რომ იწვევდა წინასწარ გრძნობას მაშინ გაურკვეველი და ბუნდოვანი თავისუფლებისა. და საფრანგეთის რევოლუციაც კი, მთელი მისი მეტად დიდი მსოფლიო მოძრაობით იყო ბოლოსდაბოლოს თავის პრინციპების საუკეთესო ნაწილის სახელოვანი დამარცხება; მან დასტოვა მხოლოდ სახელოვანი ტრადიცია და განუხორციელებელი გზები, რომელიც ზოგჯერ არც კი იყო სწორად მონიშნული. დიდი ბელადები საფრანგეთის რევოლუციისა, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ ხასიათის სიმტკიცით და დიდი ჰკუით, დიდ ხანს ბრწყინავდენ, როგორც პირველი სიდიდის ვარსკვლავები ისტორიის ცაზე, მაგრამ იყვნენ მხოლოდ ხელმძღვანელები წვრილი ბურჟუაზიისა, იმ კლასისა, რომელსაც არ ჰქონდა მომავალი და რომლის საუკეთესო გატაცებანი ილუზიებად იქცეოდა.

ვ. ი. ლენინი ბელადი გახდა მთელი მოწინავე კაცობრიობისა სწორედ იმიტომ, რომ ის წარმოშვა ისეთმა კლასმა, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, რომლის გამარჯვება ისტორიული აუცილებლობაა. მაგრამ ლენინი რომ ისეთ დროს გამოჩენილიყო, როცა ყველაფერი მზად იქნებოდა სოციალიზმის გამარჯვებისათვის, მაშინ მისი გზა შეიძლება ყოფილიყო უფრო ბედნიერი, უფრო სხივოსანი, მაგრამ ის ვერ მოიპოვებდა იმ ბრწყინვალე დიდებას, რომლითაც სარგებლობს ახლა მისი სახელი. ლენინი გამოდის პროლეტარიატის ბელადად აქტიური ძლევამოსილი რევოლუციის დასაწყისის ხანაში, როდესაც განსაკუთრებით ბევრია მტრები, როდესაც განსაკუთრებით დიდია სიძნელენი, როდესაც პირველად ისმის გადასაჭრელად მთელი რიგი ისეთი პრობლემებისა, როგორიც არას დროს არ მდგარა კაცობრიობის წინაშე.

ლენინმა უჩვენა პროლეტარიატს ნამდვილი გზა. ის ხელმძღვანელობდა

პროლეტარიატს პირველი გადამწყვეტი ნაბიჯების დროს. დიად კლასთან ერთად მან მოახერხა წინ წაწევა ისე შორს, რომ არავინ მოელოდა, სიკვდილის წინ მან მოახერხა გადაეშალა პროლეტარიატისათვის პერსპექტიული ქარტა ისტორიისა, სადაც მუშათა კლასმა უნდა მოახდინოს გიგანტური ლაშქრობა კაცობრიობის ბედნიერების მოსაპოვებლად.

ბელადი ყველაფერს უნდა ხედავდეს; მას არ შეუძლია ამავე დროს სიბნელეში ამყოფოს კაცობრიობის მასები, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. ის არამც თუ თითონ უნდა ხედავდეს ნათლად, გზებსაც უნდა აშუქებდეს სხვებისათვის.



ა. ჯ. ლუნაჩარსკი

რ. ს. ფ. ს. რ-ის განათლების სახალხო კომისარი

ისეთი ბელადი, როგორიც იყო ლენინი, არ შეიძლება არ იყოს გამანათლებელი. ის იყო ხალხურ მასების მასწავლებელი მსოფლიო მაშტაბით, იყო ამავე დროს ჩვენი საერთო მასწავლებელიც. არ არის ისეთი კომუნისტი, დიდიდან პატარამდე, რომელიც სიამაყით მის მოწაფედ არ სთვლიდეს თავის თავს. და გარდა კომუნისტებისა ასი ათასები და მილიონები მიაწერენ თავიანთ თავს მათ რიცხვებს.

ლენინის საქმე იყო განათლების საქმე, ამ სიტყვის უდიდესი მნიშვნელობით. განათლებას მოსდევდა, მისგან გამოდიოდა პრაქტიკა.

განათლების საქმე ჩვენში, უველა მისი დარგებით, არის ნაწილი ლენინის მუშაობისა, ლენინის პრინციპებით უნდა იყოს ის გამსჭვალული. განათლებას თავისთავად არ შეუძლია ჩვენთვის რაიმე ღირებულება ჰქონდეს, ის ძვირფასია იმდენად, რამდენადაც გვაძლევს პრაქტიკის ყოველმხრივ შესაძლებლობას აღმშენებლობაში და სწორედ სოციალისტურ აღმშენებლობაში ლენინი სდგას როგორც დიადი მაგალითი, განათლების ფრონტზე მებრძოლთა სათაოეში. ის არის ჩვენი პირველი და უდიდესი მეურნე, მაგრამ ის არ იეიწყებდა და იმეორებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებას, ვინაიდან ესმოდა, რომ არც ხმალს და არც მანქანას არ შეუძლია თავისთავად უზრუნველჰყოს სოციალიზმის აღმშენებლობა, რომ ამისათვის აუცილებელია მასების დიდი კულტურული ამაღლება. ამიტომაც ჩვენ, განათლების მუშაკნი, ვსთვლით ლენინს ჩვენ პატრონად (მფარველად) და ვამბობთ, რომ ის არის პირველი და უდიდესი სოციალიზმის მშენებელთა ჩვენ რაზმში.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველ პიროვნებას ჰქმნის ისტორია; ვიცით, რომ პროლეტარიატის კლასსა და მისი ზრდის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ლენინიც, მაგრამ, ამასთან ერთად, სწორედ როგორც **ისტორიულ** ფიგურას, სწორედ როგორც ნაყოფს, როგორც გამოხატულებას, როგორც უდიდეს შედეგს აზრის იმ მუშაობისა, იმ დაუცხრომელი ბრძოლისა, ბელადების იმ შერჩევისა, რომელიც სწარმოებდა პროლეტარულ პარტიაში—სწორედ ყოველივე ამისათვის გვიყვარს ჩვენ ლენინი, ვამაყობთ მითი და ვსთვლით მას ჩვენი რევოლუციის განსახიერებად.

ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავს ჩვენ ვხვდებით და მის მიჯნას გადავაბიჯებთ ლენინიზმის დროშით. ამ ისტორიულ მიჯნაზე ჩვენ ისეთივე სიყვარულით წარმოვსთქვამთ ჩვენი ბელადის სახელს, როგორც წარმოსთქვამენ მას ჩვენი ამხანაგები მეურნეები, წითელი მეომრები და ბევრი, ბევრი სხვა ძვირფასი ამხანაგები და ძმები, გაერთიანებულნი ლენინის დიადი საქმით.

---

ა. მიქაძე


## ჩვენი კავშირის მილწევები ოქტომბრის 10 წლის თავზე

ოქტომბრის როვოლუციის ათი წლის თავზე, საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან მუშების და გლეხების ამ ათი წლის ბრძოლისა და გამარჯვების თავზე, ყველა სახელმწიფოებრივი, პარტიული, სამეურნეო, თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჯამს უკეთებს თავის ნამოღვაწარ-ნამოქმედარს, აშუქებს თავის წარსულ ისტორიას და ამასთან ერთად აყალიბებს მომავლის იმ პერსპექტივებს, რომელთაც თავგანწირულ ბრძოლითა და შრომით გაჯანსაღებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და მშრომელ მასსის კლასობრივი შეგნება აყენებს ჩვენს წინაშე. ამ გარემოებას გვერდს ვერ აუხვევს განათლების მუშაკთა პროფკავშირიც.

საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირის, როგორც კომუნიზმის ერთ-ერთ სკოლის, ისტორია მხოლოდ საქართველოს გასაბჭოებიდან იწყება. 1921 წლამდე საქართველოს პროფკავშირები აგებული იყო ვიწრო პროფესიონალურ და ჰამქრულ პრინციპებზე. ამ სახის კავშირები ვერ შეასრულებდა იმ დიდ ამოცანებს, რასაც მათ ავალებდა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მშენებლობის საქმე. პროლეტარული დიქტატურა პროფკავშირს უკარნახებდა მაქსიმალურ მონაწილეობის მიღებას წარმოების წინსვლაში. წარმოების წინსვლა და შრომის ნაყოფიერების ზრდა მოითხოვდა მუშათა კლასისაგან ისეთ კავშირის შექმნას, რომელშიც გაერთიანდებოდენ ერთი წარმოების ყველა დარგის მუშაკნი. მუშათა კლასის ამ მოთხოვნილებამ შექმნა ჩვენშიაც საწარმოო კავშირის აუცილებ-



ვ. ცხაკაია
ამიერ-კავკასიის ცაკ-ის თავმჯდომარე



ფ. ჭახარაძე
საბჭ. საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარე

ლობა, ხოლო ოქტომბრის გაკვეთილებმა გაგვიადვილეს მასწავლებელთა მენშევიკურ კავშირის ნანგრევებზე განათლების დარგში მომუშავეთა გაერთიანებული კავშირის აგება. და დღეს, როდესაც თვალს ვავლებთ ჩვენი კავშირის განვლილ ისტორიას და ვითვალისწინებთ მენშევიკურ,—ამ შოვინისტურ იდეოლოგიით გაჟღენთილ,—პარტიის ნამსხვრევებთან გადახდილ ბრძოლებს, რომელიც ასე ბრწყინვალედ და კომუნისტურ იდეოლოგიის სრული გამარჯვებით დასრულდა 1924 წელს სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობის სახით,—გულდამშვიდებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ბევრი თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს ამ დარგში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მასწავლებლობა—ეს უდიდესი ფენა ჩვენი საკავშირო მასისა, რომელიც გასაბჭოების პირველ ხანებში მწვავე ბრძოლებით იცავდა თავის ძველ პოზიციებს, თანდათანობით გადმოდის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. როგორც ზემოხსენებულ ყრილობასა, ისე ბოლო ხანებში მოწვეულ უპარტიოთა კონფერენციებზე იგი აშკარად ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტურ პარტიისადმი.

მასწავლებელთა ყრილობის დეკლარაცია და უპარტიოთა კონფერენციებზე წარმოდგენილი მასწავლებლობა ერთხმად აღიარებენ, რომ ისინი იბრძო-

ლებენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის და კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.

მასიურ მასწავლებლობასთან ერთად გამოდის აგრეთვე პროფესურა, რომელიც დეკლარაციის გამოქვეყნებით, უპარტიოთა კონფერენციებსა და საბჭოთა უკანასკნელ ყრილობაზე აქტიურ მონაწილეობით, უდავოდ ააშკარავებს თავის ლოიალობას საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

ამ რიგად ყველასთვის აშკარაა, რომ ჩვენი კავშირის რიგებში დარაზმული მასწავლებლობა და მეცნიერების მუშაკნი სავსებით იზიარებენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მისწრაფებებს და მტკიცედ ასრულებენ კომუნისტურ პარტიის ყველა დავალებებს. მასწავლებელთა და მეცნიერების მუშაკთა იდეოლოგიური გარდატეხა, დაწყებული 1922-23 წლიდან, უკვე ნორმალურ კალაპოტშია ჩამოყალიბებული და არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ მომავალში რაიმე შეცვლის ამ მიმდინარეობას.

დღეს ჩვენს კავშირში დარაზმულია განათლების დარგის ყველა მუშაკი (მეცნიერების მუშაკებიდან დაწყებული და გათავებული სოფლის ქოხ-სამკითხველოს მუშაკით), რომელთა რიცხვი 20.000-მდე აღწევს. ჩვენი კავშირის, როგორც კომუნიზმის სკოლის, ამოცანა არის და იყო არა მარტო დაერაზმა და ერთ ორგანიზაციაში გაეერთიანებია განათლების დარგის ყველა მუშაკნი, არამედ შეექმნა ისეთი ძირითადი საკავშირო-ორგანოები, რომელთა მეშვეობით გაადვილდებოდა ამ ოც-ათასიან მასსის ეკონომიური და უფლებრივი ინტერესების დაცვა, მათთვის ყოველმხრივი სამსახურის გაწევა. ჩვენი კავშირის ძოვალეობა იყო ეზრუნა არა მარტო კავშირის რიცხვობრივ ზრდაზე, არამედ ის ცოდნა და მაღალი კვალიფიკაცია, რომელიც ჩვენი კავშირის წევრების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს, გადაეცა მუშებისა და გლეხებისათვის, განათლების ლამპარი შეეტანა ფართო მასაში და ეს შეესრულებია არა როგორც სამსახურებრივი ვალდებულება, არამედ საზოგადოებრივი მუშაობის გზით. ოქტომბრის ათი წლის თავზე საქართველოში არ არის განათლების დარგის ისეთი მუშაკი, რომელიც კავშირის წევრი არ იყოს; არ არის საქართველოს ისეთი მივარდნილი კუთხე, სადაც კი არსებობს თუნდაც ქოხ-სამკითხველო, რომელსაც კავშირი არ ემსახურებოდეს თავის ძირითად ორგანოების მეშვეობით.

კავშირის რიცხვობრივი ზრდა და თვით საწარმოო პრინციპები გვავალებდა უდიდესი ყურადღება მიგვეპყრო პროფაქტივის მომზადებისათვის. მასიურ მუშაობის გადიდება, მშრომელ მასების შეგნების ამაღლება, ამ მასასთან მჭიდრო კავშირის დამყარება და ამ კავშირის მეშვეობით სახელმწიფო ძალა-უფლებასთან მისი დაახლოვება ძნელად შესასრულებელი ამოცანა იქნებოდა ამ პროფაქტივის გარეშე. პროფაქტივის რიცხობრივად ზრდის, მისი მომზადებისა და აღზრდის საქმე ჯერ კიდევ არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. ამ მიმართულებით ბევრია კიდევ გასაკეთებელი.

კავშირის ხაზით მოწყობილი ხშირი კრებები, კონფერენციები, პლენუმები და, დაბოლოს, კავშირის ყრილობები როგორც საქართველოს, ისე საკავშირო მასშტაბით აკავშირებს, აახლოვებს კავშირის უბრალო წევრს ცენტრში მომუშავე ამხანაგებთან, მათ საქმიანობა-მიღწევებთან, რასაც, რასაკვირველია, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ეძლევა პროფაქტივის დარაზმისა და მომზადების საქმეში.

სატარიფო-საეკონომიო მუშაობის დარგში ოქტომბრის ამ ათი წლის თავზე კავშირს არ შეუძლია იამაყოს უდიდეს მიღწევებით ხელფასის მხრით. თუ შევადარებთ განათლების მუშაკთა ახლანდელ მდგომარეობას საქართველოს გასაბჭოებამდე არსებულ პირობებს ერთის მხრით და მეორე მხრით გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ დინამიკას აშკარაა, რომ ხელფასის ზრდა არ შეჩერებულა ერთ წერტილზე. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ჯგუფის,—კერძოდ ტეხნიკურ პერსონალის სამუშაო ხელფასი, დაუახლოვდა ომამდე არსებულ დონეს.

მიუხედავად ამისა კავშირი ერთი წუთითაც არ ივიწყებს განათლების მუშაკთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას საქმეს საერთოდ, და ქვეყნის მეურნეობის გაძლიერებასთან შეფარდებით იგი სათანადო ორგანოების წინაშე აყენებს საკითხს ხელფასის მომატების შესახებ.—დღეს თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დავალიანება მასწავლებელთა ხელფასში მარტოოდენ მოგონების საგანია, ჯამაგირი რიგდება სამსახურის ადგილზე, შრომის ნორმები ჩამოყალიბებულია და სხვა. მართალია შრომის ნორმებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაცხრილავ—გასასწორებული. ეს ახლო მომავალი საქმეა და კავშირიც თავის თვალთახედვიდან არ მოიშორებს ამ სამუშაოს, ამას გარდა ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მანიფესტი, რომელიც მუშა-ხელისათვის შვიდი საათის სამუშაო დღეს აწესებს, გავრცელდება აგრეთვე ჩვენი კავშირის წევრებზედაც, მათი შრომის ნორმის თავისებურობასთან შეფარდებით.

როდესაც კავშირის წევრთა ნივთიერ მდგომარეობასა და ხელფასზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების ის უდიდესი მიღწევა, რომელიც დაჭირავებულს მიანიჭა ოქტომბერში. ეს არის სოციალური დაზღვევა შრომის უნარის დაკარგვის დროს და უფასო მკურნალობა. ის ხარჯები, რომელიც წინედ აწვებოდა კისერზე დაქირავებულს, თვით სახელმწიფომ იკისრა. დაქირავებულთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, საბინაო დახმარების აღმოჩენა მათი გაგზავნა სანატორიუმებსა, აგარაკებსა და დასასვენებელ სახლებში,—განა უდიდესი მიღწევა არ არის მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისა, რომლის განხორციელება წარმოუდგენელი იყო ოქტომბრის გარეშე? ჩვენი კავშირის წევრთა უფლებრივი დაცვა შრომის კანონთა დარღვევისაგან, მათ უფლებრივ ინტერესებზე ზრუნვა იმ თავითვე კავშირის ყოველდღიურ შინარსს შეადგენდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული შრომის ნორმები უცვლელად ვერ გავრცელდებოდა ჩვენი კავშირის წევრებზედაც მათი შრომის პირობების

თავისებურობის გამო. ამიტომ კავშირის მუშაობის ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა განათლების მუშაკთა შრომის პირობები შესაფერ უფლებრივ ნორმებში ჩამოყალიბებინა. ამ მხრით ბევრი რამ არის გაკეთებული. ამის დამადასტურებელ საბუთად იმის დასახელებაც შეიძლება, რომ უკანასკნელ ხანებში კონფლიქტთა რიცხვმა იკლო, რაც საკავშირო ორგანოების მუშურ-ფრაქციის შეგნების ზრდით აიხსნება.

საბჭოთა ხელისუფლების ბოლო წლების ლოზუნგი—ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია—განუხორციელებელი დარჩება მასის კულტურულ დონის აუცილებლად განვითარების გარეშე; ეს აწესებს საბჭოთა ხელისუფლებას და ქვეყნის ეკონომიურ ფინანსიურ შესაძლებლობასთან შეფარდებით აუმჯობესებს კავშირის მეშვეობით განათლების მუშაკთა ნივთიერ მდგომარეობას. ვიმეორებთ, ოქტომბრის ათი წლის თავზე განათლების მუშაკთა ნივთიერ მდგომარეობის სწრაფი ტემპით ზრდა კავშირის პირველხარისხოვანი და უახლოესი ამოცანაა.

ჩვენი კავშირი იმით განსხვავდება სხვა ბურჟუაზიულ კავშირებისაგან, რომ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურას, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ოპოზიციაში არ ვუდგავართ. პირიქით, კავშირი ითვალისწინებს არსებულ პირობებს, ანგარიშს უწევს მუშებისა და გლეხების მოთხოვნილებას არა მარტო ფორმალურად, არამედ იგი ამ მუშებსა და გლეხებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული აქტიურად მონაწილეობს კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით სოციალურ მშენებლობის საქმეში. ჩვენი საწარმოო კავშირი თავის წარმომადგენლების სახით მონაწილეობას ღებულობს ყველა სახელმწიფოებრივ ორგანოებში; გარდა ამისა თავის ეკონომიურ მუშაობაში იგი უშუალო ზეგავლენას ახდენს განათლების დარგის სახელმწიფო აპარატზე, რომ ხელიხუფლების კარნახი—რაციონალიზაციისა, მომჭირნეობისა, აპარატის გაიაფებისა და ფართო მასასთან მისი დახლოვების შესახებ,—განახორციელოს მთელი 100 პროც. ჩვენი კავშირის ზეგავლენა ამ მხრით სახელმწიფო აპარატებზე, მართალია, ამ ექვსი წლის განმავლობაში თანდათან იზრდებოდა, მაგრამ მაინც სხვა საწარმოო კავშირებთან შედარებით მას საჭირო საზღვრამდე არ მიუღწევია. ამ მიმართულებით კავშირის მუშაობის გაცხოველებისა, საბჭოთა ინტერესებით მასის განმსჭვალვისა, განათლების საქმის შეფარდებისა საბჭოთა თანადროულობასთან და მუშათა და გლეხთა მოთხოვნილებებთან სახალხო განათლების ორგანოების დაახლოვების აუცილებლობა—დასმულია კავშირის წინაშე. და, ბოლოს, განათლების საქმის აგება მარქსისტულ მეთოდებზე და ამ საკითხის დაჩქარება განათლების სახალხო კომისარიატის მიერ კავშირის აუცილებელი მოვალეობაა.

კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობა ჩვენს კავშირში, მისი მეთოდების გამონახვა და დამუშავება ეს ის საშუალებაა, რომელიც კავშირს გახდის კომუნიზმის ნამდვილ სკოლად. მენშევიკების ბატონობის დროს ასეთი მუშაობა სრულებით არ არსებობდა. ამ მუშაობის წარმოება და ახალი გზების გამონახვა

მხოლოდ ოქტომბერმა დააკისრა კავშირებს. გარდა იმისა, რომ ჩვენი კავშირის კულტმუშაობა სპეციფიურია, იგი მოითხოვს ჩვენგან უდიდეს ყურადღებას და ენერგიის გაღებას, ვინაიდან ჩვენი საკავშირო ოჯახის წევრებად ითვლებიან როგორც სოფლის ქოხ-საკითხველოს დარაჯები, ისე მეცნიერების დარგში მომუშავენი. ტეხნიკურ მოხუშავეთა შორის წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაცია, მათი გადაყვანა შეგნების უფრო მაღალ საფეხურებზე, მათ შორის პროფ-ცოდინს, პოლიტ-ცოდნის, სათვითგანკითარებო კურსების მოწყობა მოკვარება, ეს საკითხი უდავოდ მიღწეულია. აღნიშნულ ხასიათის მუშაობა ფართოდ გაშლილია აგრეთვე ჩვენი კავშირის დანარჩენ ფენებშიაც.

პროფესურა წარმოადგენს მაღალ კვალიფიკაციის სპეციალისტებს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ კატეგორიის მუშაკთა შორის პროფ-უშაობის წარმოებას სათანადო ადგილი ჰქონდა დათმობილი კავშირის მოღვაწეობაში. ამ დარგშიაც გვაქვს მიღწევები. გარდა მათ შორის სპეციფიურ კულტ-მუშაობის წარმოებისა, კავშირის მიერ საკმაოდ გამოყენებულ იქნენ სამეცნიერო ძალები, რომელნიც ხალისით და მონდომებით გამოდიან მუშებისა და გლეხების წითელ არმიელების წინაშე სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებებით

ჩვენი კავშირის ძირითად და უმთავრეს ფენას მასიური წასწავლებლობა შეადგენს, რომლის შეგნების ამაღლება, დაახლოება კულტმუშაობის ყველა მხარესთან და მიღწეულ შედეგების გაზიარება ფართო მასისათვის, კავშირის უმთავრესი საზრუნავია. ამ მოსაზრებით ჩვენ შევქენით ქალაქში განათლ. მუშაკთა ცენტ. სახლი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს პრო იზაციის კლუბებსა და წითელ კუთხეებს. საქართველოში შვიდია ამგვარი კერა. კუთხეების რიცხვი კი 42 აღწევს. ჩვენი სახლების აუკილებლობა და ძისია-სებობის გამართლება მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ათ განათლების მუშაკებს სამსახური გაუწიონ თვითგანვითარების დარგში, არამედ იმაშიაც, რომ ამ სახლებმა ყოველდღიურ შრომით დაღლილ-დაქანცულ მუშაკებს დასვენებისა და გართობის საშუალება მოუპოვონ. ამ მიზნით ეწყობა ფიზკულტურა, ექსკურსიები, საღამოები. იმართება დისპუტი, კინო, რადიო და სხვა.

კლუბებმა და კუთხეებმა ბიბლიოთეკების მეშვეობით დაუხლოვეს ფართო მასას საბჭოთა წიგნი, მიაწოდეს ჟურნალ-გაზეთები, წითელი პრესა და აუკილებელი ლიტერატურა. მოვალეა სათვითგანკითარებო წრე, მოწყობილი კავშირის მიერ, უთუოდ უწევდეს დიდ დაამარებას თვითგანვითარების მისურნე განათლების მუშაკებს. მკრამ უნდა აღვიაროთ, რომ თვითგანვითარების საქმე ჯერ კიდევ არ არის დაყენებული რაციონალურ ნიადაგზე. იგი მტკიცე და უეჭველ ნაბიჯებით მთლიანად უკანასკნელად იწყებს წინსვლა-განვითარებას და ახლო მომავლის საქმეა მისი ფართედ გაშლა და გაღრმავება. განა უბრალო საკითხია სოფლის მასწავლებლის მომზადება საზოგადოებრივი მუშაობისათვის და ქოხ-საკითხველოს გამგის შეგნების აღმაღლება იმ დონემდე, რომ მათ სავსებით შე-

სძლონ ჩვენი გლეხობის სულსა და გულში ჩაწვდომა, მისი ჭირისა და ლხინის გაგება, სათანადო რჩევა-დარიგების მიწოდება?

და ჩვენც სიამაყით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ განათლების მუშაკნი სოფლად ჩაბმულნი არიან საზოგადოებრივ მუშაობაში, ისინი თავის ავტორიტეტსა და გამოცდილებას სავსებით იყენებენ ხალხის სამსახურისათვის, საბჭოთა მშენებლობის განსავითარებლად. უკანასკნელი წლის საბჭოთა არჩევნები ამის მაჩვენებელია.

ჩვენ ერთი რამ უნდა ვთქვათ. კულტმუშაობის წარმოება და მისი გავრცელება ფართო მასაში ეკისრება მეტ წილად კულტკომისიებს. მეტად ძნელის მათი მუშაობის პირობები სოფლად, სადაც კავშირის წევრები შორი-შორა სცხოვრობენ.ამ პატარა ნაკადულების,რომელნიც გაფანტულნი არიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დაშორებულნი არიან ერთმანეთისაგან ერთ დიდ მდინარეში გაერთიანება არის და იქნება კავშირის კულტმუშაობის ძირითადი ამოცანა.

მართალია, ჩვენ გაჯანსაღებულნი ეკონომიურად, გაფოლადებულნი სულიერად, ერთი მიზნით გატაცებულნი, ერთი ნებისყოფით შედუღებულნი, ვეგებებით, ოქტომბრის ათი წლის თავს და ამით ერთხელ კიდევ ვაჭდობთ ბასრ მახვილს დასავლეთ ევროპის ძირმონგრეულ ბურჟუაზიას, მაგრამ ომის საფრთხე მაინც სდგას ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით. რა გავაკეთეთ ამ მხრით, რა მიღწევები გვაქვს ხალხის გასამხედროების საკითხში? ბევრი რამ, მაგრამ მაინც არა საკმარისი იმისათვის, რომ გულდამშვიდებით და ამაყად გაუსწოროთ თვალი გამარჯვებულ ოქტომბრის ათი წლის მზეს. ჩვენი კავშირი კულტურული შეფია სახელოვან წითელი არმიისა. ჩვენ პირნათლად ვასრულებთ ჩვენს თავზე აღებულ ვალდებულებას წითელ არმიის წინაშე, მაგრამ ოქტომბრის ათი წლის თავმა და ომის საფრთხემ ჩვენი კავშირის რიგები უფრო უნდა დაუახლოვოს წითელ ლაშქარს, ჩვენი რიგები უფრო შეამჭიდროვოს მებრძოლ წითელ არმიის რიგებთან.

განათლების მუშაკმა წითელ არმიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულმა თამამად უნდა გაბედოს თქმა: გამარჯვებულო მუშებო და გლეხებო! ჩვენ თქვენთან ვართ და თქვენთან ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობისა და მთელს მსოფლიოში კომუნიზმის გასამარჯვებლად!

ვ. ხაჭაპურიძე.

# ოქტომბრის რევოლუცია და სახალხო განათლება.

ოქტომბრის რევოლუცია მსოფლიო მოვლენაა, ესაა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ნაწილი, მისი დასაწყისი.

ფაქტი საბჭოთა კავშირის არსებობის და ჩვენი მუშაობა სოციალისტური აღშენებლობისათვის, ჩვენი მიღწევები და გამარჯვებანი ხელს უწყობს ყველა ქვეყნის მშრომელთა გარევოლუციონერებას, ამხნევებს და ბრძოლისათვის აქეზებს იმპერიალისტების მიერ დაჩაგრულ კოლონიალურ ერებს.

ოქტომბრის რევოლუციამ აუცილებელი გახადა საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველი მხარის საფუძვლიანად გადასინჯვა-გადაკეთება, ახალ საფუძვლებზე დაყენება.

ძველი რუსეთის ერთ-ერთ სიმაგრეს წარმოადგენდა მაშინ არსებული სახალხო განათლების სისტემა. კულტურულ დაწესებულებათა და, პირველ რიგში, სკოლების საშუალებით რუსეთის თვითმპყრობელობა ატარებდა თავის წოდებრივ-კლასობრივ პოლიტიკას. ძველი სკოლა ამზადებდა გაბატონებული კლასისათვის სასურველ მოხელეებს, მონა-მორჩილ ხალხს, სხვის ნების კარგ ამსრულებლებს. თვითმოქმედება, ცოცხალი აზრი, აქტივობა სასტიკად იდევნებოდა.

განსაკუთრებით მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული თვითმპყრობელობის მიერ განაპირა ქვეყნები. აქ სკოლა იყო გარუსების იარაღი, შოვინიზმის გამაღვივებელი, ცალკე ერებს შორის სიძულვილის მთესველი. ეროვნული კულტურა, დედა-ენა დაჩრდილული იყო და იდევნებოდა.

სავსებით ბუნებრივია, რომ გამარჯვებული პროლეტარული რევოლუციის წინაშე სახალხო განათლების დარგში წამოიჭრა მეტად სერიოზული ამოცანა:— ძირიან-ფესვიანად ამოეგლიჯა ყოველივე, რაც ძველ სკოლას ხდიდა მშრომელთა ჩაგვრის და მათზე ბატონობის იარაღად, გაეწმინდა ნიადაგი და შეექმნა ხელის შემწყობი პირობები ფართე მასების კულტურული ამაღლებისთვის.

ჩვენ სოციალისტურ მშენებლობაში კულტურული მუშაობა ძალიან დიდ როლს თამაშობს.

თავის ცნობილ სტატიაში „კოოპერაციის შესახებ“ ამხ. ლენინი ამბობს, რომ „ახლა, როდესაც ხალხმა პროლეტარიატის მეთაურობით აიღო ძალა უფლება ხელში, და მაშასადამე მოიპოვა უფლება ნამდვილ სახალხო განათლების განხორციელების, კულტურული რევოლუციის საკითხი პირველ ხარისხოვან პრობლემად იქცაო არსებულ პირობებში უსათუოდ შემცდარია ის, ვინც ფიქრობს



ვ. ი. ჯაღუნაშვილი
საკავშირო ცაკის თავმჯდომარე.



ა. ი. რიკოვი
საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

რევოლუციონურ და პოლიტიკურ ამოცანების პირველ რიგში წამოყენებას და კულტურულ საქმეებს მეორე ხარისხოვნად აცხადებს. პირიქით, ამბობს ამბ. ლენინი, სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ ჩავიგდეთ ძალა-უფლება ხელში, ჩვენს წინაშე სდგება საკითხი მასების კულტურულ დონის ამაღლების და ამით ძალაუფლებისათვის მტკიცე ფუნდამენტის შექ ნისა. ლენინი კატეგორიულად აცხადებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში ჩვენ გვაკლია მხოლოდ მასის კულტურული ამაღლება, რომ შევიძლოთ სოციალიზმის განხორციელება"-ო. ეს დებულება უნდა გავიგოთ იმ გვარად, რომ ძალაუფლების ხელში აღებასთან ერთად ჩვენ უნდა შევიძინოთ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, რომ განსაზღვრულ ვადაში მივაღწიოთ იმ მიზნებს, რომლებიც დაისახა ოქტომბრის რევოლუციამ

კომუნიზმის დამყარება შეუძლებელია უმცირესობისა, ან მარტო პოლიტიკურ პარტიის განკარგულებაში მყოფ ძალებით. კომუნიზმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ათეულ ათასების საშუალებით, როდესაც ეს მასები თვითონ გააკეთებენ ყველაფერს.

ჩვენ უნდა გამოგვემუშავებია საკუთარი სისტემა სკოლის და მის გარეშე განათლების. ამ საქმეში ჩვენ ვხელმძღვანელობდით ერთის მხრით მარქსითა და ლენინით, მეორეს მხრით კომუნისტურ პარტიის კოლექტიურ რევოლუციონურ გამოცდილებით. ჩვენ გამოვიმუშავეთ იმ გვარი სისტემა რომელმაც უნდა ემსა-

ხუროს პროლეტ. ინტერესებს, უნდა მოამზადოს მასები მსოფლიო რევოლუციისათვის და აქტიურ, შეგნებულ მონაწილეობისათვის ახალ სოციალისტურ საზოგადოების შექმნაში. რამოდენიმე წლების განმავლობაში ჩვენ განვახორციელეთ მთლიან შრომის სკოლის იდეა მწყობრ სისტემის შექმნით, დაწყებული საბავშო ბაღიდან და გათავებული უმაღლესი სკოლით.

სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმე ს. ს. რ. კ-ში შესამჩნევად განვითარდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. განსაკუთრებით აღსანიშნავია და გამრავლდა ბავშთა მოედნები, რომელიც აერთიანებს ახლა 200.000 ბავშს.

თუ 1914—1917 წლამდე საქართველოში არ არსებობდა არც ერთი სახელმწიფო საბავშო ბაღი, სამაგიეროდ 1926—27 წ ჩვენ გვქვს 129 სკოლასთან არსებული საბავშო ბაღი, 4604 ბავშებით და 62 დამოუკიდებელი საბავშო ბაღები 3984 ბავშებით. ომამდე მეფის რუსეთში იყო 104.0 0 სკოლა და 1926—27 წ. კი არის 108.000 სკ. ე. ი. 3,6 პროც. მეტი, ვიდრე ეს იყო 1914 წელს.

მოსწავლეთა რიცხვი 1914 წ. უდრიდა 7,2 მილიონ; გასულ წელს კი პირველი საფეხურის სკოლებში გვყავდა 9.9 მილ. მოწაფე.

რიცხვობრივად ჩვენი სკოლები აერთიანებს ბავშთა მოსახლეობის 65—70 პროცენტს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ისე აწარმოოს სკოლების ზრდის საქმე, რომ 1933 წელს აკმაყოფილებდეს მთელ ბავშურ მოსახლეობას. 1914—17 წ. საქართველოში იყო 1503 სკოლა, 138.644 მოწაფეებით, ხოლო 1926—27 წ. არის 2.079 სკოლა, რომელიც აერთიანებს 286.444 მოსწავლეთ. რ. ს. რ. კ—ში მაღალ ტიპის სკოლის განსაკუთრებულ სახეობად ითვლება გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა. ეს სკოლა მიზნად ისახავს კულტურულ გლეხის აღზრდას და აქ იქმნება სულ ახალი ტიპის გლეხური ინტელიგენცია, რომელიც კი არ გაექცევა სოფელს, არამედ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სოფლის კულტურულ-პოლიტიკურსა და სამეურნეო ცხოვრებაში.

სულ ოთხი წელია, რაც გაჩნდა ამ ტიპის სკოლის იდეა, მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს 686 გლ. ახ. სკოლა 650.000 მოწაფით (საკავშირო მასშტაბით).

მაღალი ტიპის სკოლა დაკავშირებული უნდა იყოს მეურნეობასთან და გამსჭვალული რევოლუციონურ სულისკვეთებით.

I ინტერნაციონალის ჟენევის ყრილობაზე მარქსმა აღნიშნა, რომ იდეალური სკოლაა, საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, თუ კი ისინი ისე არიან დაყენებულნი, რომ წარმოებაში მონაწილეობას პარალელურად ბავშები წიგნსაც სწავლობენო.

ჩვენი მეურნეობის განვითარების დღევანდელ პირობებში ჩვენ შეგვიძლია მოვათავსოთ საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში, მხოლოდ ნაწილი ახალგაზრდობისა საკავშირო მასშტაბით ამ ჟამად ითვლება 1.068 საქარხ-საფაბრ. სკოლა 110.000.

ოსწავლეებით. საქართველოში კი არის ამგვარი 6 სკოლა 515 შეგირდით.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხთან დაკავშირებით პროფგანათლება უნდა გახდეს უსერიოზულეს ნაწილად ჩვენი კულტურისა. 1926—27 წ. ტეხნიკუმების რიცხვი მთელს კავშირში აღწევდა 1.017-ს, 760.000 მოწაფით. საქართველოში არის 35 ტეხნიკუმი 3874 მოსწავლით. უდიდეს ყურადღებას ითხოვს უმაღლეს სასწავლებლების საქმიანობა, რადგან აქ იქნებიან ის კვალიფიციური მუშაკები, რომელთა ხარისხისაგან დამოკიდებულია ინდუსტრიალიზაციის და ბურჟუაზიულ ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულ ეკონომიური ბრძოლის წარმატებით დამთავრება. ჩვენ ბევრის გაკეთება შევსძელით უმაღლეს სასწავლებელთა პროლეტარიზაციის მიმართულებით. 160.000 სტუდენტთა რიცხვის 51 პროც.-ს შეადგენს მუშები და მუშის შვილები. მეფის მთავრობის დროს ა-კავკასიაში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი და ახლა კი მხოლოდ საქართველოში არის ოთხი უმაღ. სასწავლებელი. მარტოდ სახელ. უნ—ტში და პოლიტეხნიკუმშია 5.981 სტუდენტი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი უმაღ. სასწავლებლები შედარებით ახალგაზრდანი, ისინი საკმაოდ უზრუნველყოფილნი არიან მეცნიერულ ძალებით, ლაბორატორიებით და კაბინეტებით.

მუშების და გლეხებისათვის უნივერსიტეტში შესვლის გაადვილებისა და ამ გზით მუშურ-გლეხურ მასებისათვის თავდადებულ ინტელიგენციის შექმნის მიზნით ჩვენ გავხსენით მუშფაკები, რომელთა რიცხვი საქართველოში უდრის 4—1812 მსმენელით.

უდიდეს ჩვენ მიღწევად უნდა ჩაითვალოს კომპლექსიური პროგრამები, რომელთა ძირითად იდეას შეადგენს ძველი, წიგნური მეთოდის შეცვლა ცოცხალ კომპლექსიურ მეთოდით. ამ მეთოდით მუშაობის დროს ბავშები თითონ ახდენენ დაკვირვებებს, აფართოებენ არეს ურთიერთ შორის ორგანიულად დაკავშირებულ ცოდნათა და ამასთან ერთად აღრმავებენ კითხვის, წერის და ანგარიშის ტეხნიკასკომპლექსიურმა პროგრამამ გაამართლა თავის არსებობა და ამ დარგში არსებულ მიღწევათა აღრიცხვას აწარმოებენ ამ ჟამად ათეული ათასები მასწავლებლებისა.

განსაკუთრებით საყურადღებოა იდეა სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის იდეა, რომელსაც ხაზგასმით აღნიშნავდა ყოველთვინ ვ. ი. ლენინი. ლენინის აზრით, ბავში სწავლის დროს სულ უბრალო რამით უნდა ღებულობდეს მონაწილეობას საერთო შემოქმედებითი საქმიანობაში. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ შევსძლებთ ლენინის აზრების რეალიზაციას და ვერც კი წარმოგვიდგენია ქალაქის თუ სოფლის სკოლა, საბჭოთა აღმშენებლობის გარეშე მდგომი.

ჩვენი სკოლა შენდება მოსწავლეთა თვითმოქმედების პრინციპზე. სკოლა დაკავშირებულია ბავშთა მოძრაობასთან. ამჟამად მთელს კავშირში ერთ მილიონზე მეტი პიონერია, რომელთაც ახალი სული შეაქვთ სკოლაში. პიონერთა

შორის დისციპლინა მაგარია, ისინი ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულნი არიან და ეხმარებიან მასწავლებელს. პიონერები აცხოველებენ და აღრმავებენ თვითმართველობის საქმეს სკოლაში. თვითმართველობა თანდათანობით ხდება სკოლის ჭეშმარიტ თვითმართველობად, სადაც ყმაწვილები დამოუკიდებლად მსჯელობენ მათვის ახლობელ ამა თუ იმ საკითხის გარშემო და კიდევაც სჭრიან მას.

ბავშის კომუნისტური აღზრდა და ნამდვილ შრომის სკოლის განხორციელება მასწავლებლისაგან არის დამოკიდებული. ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ იმგვარ საკითხებს როგორიცაა:

მასწავლებლის მატერიალური დაკმაყოფილება, კვალიფიკაცია და მისი მორალური ავტორიტეტი მოსახლეობაში.

სიკვდილის წინ ლენინი სწერდა. **„სახალხო მასწავლებელი ჩვენ უნდა ავიყვანოთ იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არასდროს არ იდგა, არ დგას და არც იქნება** ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს. ეს მდგომარეობა კი, ჩვენ უნდა შევქმნათ სისტემატიურ, დაჟინებითი მუშაობით როგორც მის სულიერ ამღლებისა, ყოველ მხრივ მომზადების საქმეში, ისე მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში“.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ხანია, რაც მიაქცია ყურადღება მასწავლებლის მდგომარეობას. განსაკუთრებით მე-XIII ყრილობის შემდეგ მისი მდგომარეობა ყოველ წლიურად უმჯობესდება. მაგრამ მიუხედავად ამისა მასწავლებელი დღევანდლამდე ყველაზედ ნაკლებ უზრუნველყოფილია მატერიალურად რაც ბუნებრივია, დაღს ამჩნევს მის მუშაობას. მაშინ, როდესაც მუშის ხელფასი უკვე მიუახლოვდა ომამდე არსებულს, მასწავლებლები ტფილისში ღებულობენ: პირველ საფეხურის სკოლები 66,14% წინა საშუალო განაკვეთისას, მეორე საფეხურის სკოლები 24, 09%, მ ა ზ რ ე ბ შ ი: პირველ საფეხურის 52, 6%, მორე საფეხურის 18,1%.

ამ მდგომარეობის მიზეზია ჩვენი სიღარიბე, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება რგორც ახლა, ისე მომავალშიც მიმართავს ყოველ საშუალებას, რომ უახლოეს წლებში უზრუნველყოს მასწავლებელი მატერიალურად, უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით მასწავლებელთა საკავშირო ყრილობის შემდეგ, მასწავლებლის საზოგადოებრივი წონა გაიზარდა. ის ენერგიულად მუშაობს, კურსებზე თუ დამოუკიდებლად თავის განვითარების საქმეზე. მასწავლებელი ბევრს კითხულობს, სწავლობს, ისმენს მოხსენებებს, აღრიცხავს თავისას და სხვის გამოცდილებას.

სკოლის გარეშეც, სოფლად მასწავლებელი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა; მუშაობს ის ქოხ-სამკითხველოებში, აგიტაციას ეწევა გლეხებს შორის მიწის უკეთ დამუშავების შესახებ, ხელმძღვანელობს კოოპერატივის საქმეებს და ეხმარება გლეხებს საბჭოს მუშაობაში. მასწავლებლის ამგვარმა საქმიანობამ, უმეტეს შემთხვევაში უფასომ, დაახლოვა ის მცხოვრებლებს და ის ყველაზე საჭირო

კაცია სოფლად. ეს დიდი მონაპოვარია მასწავლებლისათვის და საბჭოთა სკოლისათვის

სახგანკომი სერიოზულ მუშაობას ეწევა პოლიტიკურ განათლების სფეროში, რაც გამოიხატება უპირველეს ყოვლისა მოზრდილთა შორის წ/კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. ლენინმა პირდაპირ აღიარა, რომ უსწავლი—ბრმააო. ჩვენ არა მცირე ენერგიას ვხარჯავთ, რომ ნაწილობრივ მაინც მოვსპოთ მეფის კოშმარული მემკვიდრეობა, როდესაც 75 პროც. მოსახლეობისა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ახლა მთელს კავშირში 47.000 წერა-კითხვის პუნქტია, რომელშიაც სწავლობენ 1,5 მილ. ადამიანისა. 8 წლის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 7 მილიონმა. 1923 წ. აღწერის თანახმად საქართველოში იყო 369.248 წერა-კითხვის უცოდინარი. წერა-კითხვა შეისწავლა 146.168 კ., ე. ი. 39,6 პროც.-მა.

დიდ როლს თამაშობენ ქოხ-სამკითხველოები, სოფლის ეს კულტურულ-განმანათლებელი ცენტრები. მთელს კავშირში მათი რიცხვი აღწევს 22.000,—საქართველოში 387. ქალაქებში, კულტურულ გახვითარების საქმეში დიდ როლს თამაშობენ მუშათა კლუბები. დიდ საგანმანათლებლო საშუალებად იქცა უკანასკნელ ხანებში რადიო, რომლებიც შეიძინეს სათემო ცენტრებმაც კი. ჩვენი კულტურული ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია ცნობები გაზეთების შესახებ. „კომუნისტი“-ს და „ახალი სოფლის“ ტირაჟი ძალიან დიდია და მათ კითხულობენ მთლად მიყრუებულ ადგილებშიაც.

უ ვეულოდ აყვავდა საქართველოში წიგნის გამომცემლობის საქმეც. სახელგამის ცნობებით უკანასკნელ წელს გამოიცა 159 სახელწოდების წიგნი, საერთო ტირაჟით 825.500 ეკზ. არც რევოლუციამდე და არც მენშევიკების დროს წიგნის ბაზარს ამგვარი რამ არ მოსწრებია. დიდად განვითარდა აგრეთვე კინო. ჩვენი სურათები ცნობილია მთელს კავშირში და თუ 21 წ.—26 წლამდე სახკინმრეწვმა გამოუშვა 11 სურათი, სამაგიეროდ მხოლოდ 26—27 წ. წ. ჩვენ გვაქვს 16 სურათი. რიცხვობრივ ზრდასთან ერთად, სურათები გაიზარდა მხატვრულად და განმტკიცდა იდეოლოგიურად.

დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე, მეცნიერებასა და ხელოვნებაში. ისეთ მცირე ტერიტორიაზე, როგორიცაა საქართველო, ჩვენ გვაქვს 26 სამეცნიერო დაწესებულება: მუზეუმები: ისტორიული, სარევოლუციო, პედაგოგიური და სხვ.; გვაქვს წიგნის პალატა, არქივი, კულტურის სახლი, მთელი რიგი მეცნიერულ-ინსტიტუტ საზოგადოებებისა და სხვ. ყველაფერი ეს მოწმობს კულტურის გამოცოცხლებას.

მატერიალურ კეთილდღეობის ზრდასთან ერთად იზრდება მასების მისწრაფება განათლების საქმისადმი. ამ მოძრაობამ ფეხი მოიკიდა მივარდნილ, კულტურულ ცენტრებს მოწყვეტილ ადგილებშიაც: ხევსურეთში და სვანეთში, სადაც ნატურალური მეურნეობა მთლიანად არ არის განდევნილი, საბჭოთა ხელისუფ-

ლებას გაჰყავს გზები. ხსნის ფოსტას, აწესებს სკოლებს ბავშთა და მოზრდილთათვის და ხალხიც ძალიან ეწაფება კულტურას, ცოდნას.

მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას განათლების საქმის მოგვარება. სამოქალაქო ომი, სამეურნეო ნგრევა, ბლოკადა და გამოუცდელობა,—აი ის პირობები, რომელშიაც დაიწყო ეს დიდი საქმე. მაგრამ ჩვენს სამეურნეო და პოლიტიკურ ზრდასთან და ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, სახალხო განათლების საქმე სწრაფად ვითარდება, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორეტიულად.

ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავი განსაკუთრებული დატაა მსოფლიო ისტორიაში, რადგან არ ყოფილა მაგალითი, რომ კლასობრივ მტერზე გამარჯვებულ პროლეტარიატს 10 წლით შეენარჩუნებიოს ძალა-უფლება.

10 წელმა მოგვისწრო ჩვენ, უდიდეს რევოლუციონურ შემოქმედების მომენტში. მთელს კავშირში, და კერძოდ საქართველოში, სამეურნეო თუ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, ჩვენ სწრაფად და მტკიცედ მივდივართ წინ —სოციალიზმისაკენ. ჩვენ გვაქვს დეფექტები, შეცდომები, მაგრამ როგორც სხვა სფეროში, ისე კულტურულ მშენებლობის საქმეში ვანხორციელებთ სწორ ლენინურ ხაზს. ჩვენ გვყავს რევოლუციისათვის თავდადებულ გან. მუშაკია არმია, რომელიც მზად არის თავის ცოდნა და თავის ძალა შესწიროს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. ყველაფერი ეს თავდებია იმის, რომ ახლო მომავალში საბჭოთა კავშირი ისეთივე ფორპოსტი იქნება კაცობრიობისათვის კულტურულის მხრივ, როგორი ფორპოსტიც ის არის დღეს, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხის გადაჭრაში.

# სახალხო განათლება

## საბჭოთა საქართველოში

(მოკლე მიმოხილვა)

ოქტომბრის რევოლუციამ ძირითადი ცვლილებები მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ამ ცვლილებებს შედეგად მოჰყვა სკოლების რიცხვის გადიდება, წინსვლა და მექანიზაცია სასოფლო მეურნეობის; განახლება და ზრდა სამთო და საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის; ტრანსპორტის განვითარება, ქვეყნის ელექტროფიკაცია და სხვ. მეფის დროს საქართველოში არ არსებობდა სკოლა, სადაც ქართველების სამშობლო ენაზე ყოფილიყო სწავლა.

რამოდენიმე ათეული სამოქალაქო სკოლები და გიმნაზიები, სადაც უმეტეს შემთხვევაში სწავლობდენ ჩინოვნიკების შვილები, უფრო გარუსების საქმეს ემსახურებოდა ვიდრე განათლების შეტანას ხალხში. სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმეს აწარმოებდა ორი-სამი კერძო საბავშო ბაღები.

სკოლის გარეშე განათლების საქმე ხორციელდებოდა ორ-სამ საკვირაო სკოლებში, რომლებიც არსებობდა მოხალისე მასწავლებელთა უფასო შრომის წყალობით.

პროფტეხნიკური განათლება განისაზღვრებოდა დაბალი ტიპის ოროსამ სასოფლო-სემეურნეო სკოლით და ამდენივე საშუალო სასწავლებლებით, რომელთაგან ტფილისის კულტურტეხნიკური სასწავლებელი არსებობდა კერძო პირთა ხარჯზე.

ქართული თეატრი არსებობდა, ნახევრად-მშიერ ქართველ ენტუზიასტმსახიობთა თავდადებულ საქმიანობის წყალობით.

ქართული ოპერა არ არსებობდა. არსებობდა ერთად ერთი მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც მიზნად არ ისახავდა არც ქართულ მუსიკის შესწავლას და არც მის პროპაგანდას. მხატვრობა წარმოდგენილი იყო 2-3 მხატვარით. ქართველ მხატვართა ასოციაციის და ან ქართულ სამხატვრო სკოლის დაარსების შესახებ ფიქრიც ხომ ზედმეტი იყო. სამეცნიერო დაწესებულებანი არსებობდენ ტფილისში, მაგრამ სათავეში ედგა მათ ისეთი პირები, რომელთათვის საქართველო წარმოადგენდა განწირულ ეთნოგრაფიულ ერთეულს და არა განსაზღვრულ კულტურულ და პოლიტიკურ იდეალების მქონე ცოცხალ ეროვნულ ორგანიზმს.

მთელი მეცნიერულ ლიტერატურას შეადგენდა 3-4 ათეული ისტორიულ-არქეოლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წიგნებისა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს გასაბჭოებამდე (1921 წ.) მენშევიკების მიერ წამოწყებული სახალხო განათლების რეფორმის საქმე გამოიხატა სკოლების ნაციონალიზაციაში, ე. ი. ბავშვების სამშობლო ენაზე სწავლის შემოღებაში.

დანარჩენში, სახალხო განათლების სისტემა არაფრით განსხვავდებოდა ძველი სკოლისაგან და ის სრულიად არ შეეფერებოდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს. ნაციონალიზაციის გატარების შემდეგ მენშევიკებს თავი არ შეუწუხებიათ სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის სამშობლო ენაზე გამოცემით; არაფერი, ან თითქმის არაფერი, გაუკეთებიათ მათ სკოლის ასაკამდე აღზრდისა და სკოლის გარეშე განათლების სფეროში. საბჭოთა ხელისუფლებას უნდა დაენგრია მთელი ეს სისტემა, რადგან ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პროლეტარიატის წინაშე მდგომი ამოცანა ახალ სახელმწიფოს და კომუნისტურ საზოგადოების შენებისა, მოითხოვდა კომპარტიისა და საბჭ. ხელისუფლებისაგან, ახალგაზრდობის სოციალისტურად აღზრდის განხორციელებას და მოსახლეობის ახლად აღზრდას კოლექტივისტურ პრინციპებზე.

ამ პრინციპზე აშენებდა განსახკომი საქართველოში სახალხო განათლების სისტემას და ურყევად ატარებდა ცხოვრებაში სკოლის ნაციონალიზაციას.

დღეს, მთელ საქართველოს, აჭარისტანთან, აბხაზეთთან და სამხრეთ-ოსეთთან ერთად, აქვს საკუთარი ეროვნული სკოლები და თანამედროვე მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევანი სამშობლო ენის წყალობით, სკოლების საშუალებით აღწევენ მცხოვრებთა მასებამდე. რესპუბლიკა მოფენილია შრომისა და სპეციალურ სკოლების ხშირი ქსელით, რაც გვირგვინდება 4 უმაღლეს სასწავლებლებით.

ამ უმაღლეს სკოლების კედლებიდან გამოვიდა 1000-დე სამეცნიერო ნამუშევარი, ქართულს, რუსულს და უცხო ენებზე დაბეჭდილი.

თითოეულ სოფელში არის ქოხ-სამკითხველო, სამკითხველოები, იკითხება ლექციები და იმართება საუბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხების გარშემო.

ქართულ თეატრის უკანასკნელ 3—4 წლის არსებობა საუკეთესო ფურცლებია მისი ისტორიისა.

ხალხურმა სიმღერამ საუკეთესო გამოხატულება ჰპოვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებში.

ამ ჟამად ჩვენ გვაქვს ათიოდე ორიგიონალური ოპერა, რომელთაგან 5 უკვე შეტანილია რეპერტუარში. კონსერვატორიამ მოგვცა მთელი რიგი ახალგაზრდა მუსიკოსებისა და მომღერლების. შექმნილია საუცხოვო სიმფონიური ორკესტრი.

მსახველობითი ხელოვნების სფეროში აღმოჩნდა ბევრი ახალგაზრდა ძალები, რომელთა შემოქმედებას მიძღვნილი აქვს გამოჩენილ კრიტიკოსთა სპეციალური მონოგრაფიები (მხატ. გუდიაშვილი და კაკაბაძე).

**სოციალური აღზრდა.**

სოციალურ აღზრდის ობიექტს წარმოადგენენ საქართველოში 3—17 წ. ჰასაკის ბავშები. გასაბჭოებამდე საქართველოში იყო 2—3 საბავშო ბაღი. პირველ ხანებში, სკოლის ჰასაკამდე დაწესებულებანი თავმოყრილნი იყვნენ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ქალაქებში, რადგან სოფლად არ მოიპოვებოდა სათანადოდ მომზადებული მუშაკები. მაგრამ სკოლის ჰასაკამდე დაწესებულებათა ქსელი თანდათან იზრდებოდა სოფლად (ახლა რესპუბლიკაში, ავტონომიურ ნაწილების გამოკლებით 65 საბავშო ბაღია 4000 ბავშით და 5 კერა 520 ბავშით).

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული უპატრონო ბავშთა საკითხს.

განსახკომთან არსებობს სპეციალური ორგანოები. (იხ. დამატებაში ცხრილი „საბავშო დაწესებულებათა ზრდა“).

მასიურ სკოლად ითვლება 4 წლედი, რომლის ქსელიც, გასაბჭოებამდე არსებულ პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა საქართველოში (იხ. დამატებაში ცხრილი „სასკოლო ქსელი“).

პირველ დღიდანვე საქართველოს განსახკომის წინაშე არსებობდა ძნელი ამოცანა საბჭოთა შრომის სკოლის ორგანიზაციის, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს ახალი თაობა, პროლეტარიატის მიერ თავის კლასობრივ ინტერესების განხორციელების პრინციპებზე, გააცნოს მოწაფეთ ადამიანთა შრომითი მოქმედებას და განუმარტოს მათ წარმოების საშუალებათა ფორმების მნიშვნელობა ადამიანის საზოგადოების განვითარების პროცესში. სოფლის მეურნეობის პირობებში არსებული შვიდწლედი თავის საქმიანობას აშენებს სასოფლო მეურნეობის საფუძვლებზე. ზოგად განმათლებელ მასალასთან ერთად ეს სკოლა იძლევა სასოფლო-სამეურეო ცოდნას.

ეს არის გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა, რომელთა რიცხვი ჩვენში უდრის 101. პალალელურად ამისა, ქალაქის შვიდწლედმა, რომელიც შენდება საქალაქო წარმოების ბაზისზე უნდა მიიღოს საქარხნო-საფაბრიკო სკოლის სახე, 9-წლედის რეორგანიზაცია მიზნად ისახავდა მის სამოსწავლო გეგმაში და პროგრამაში პროფესიონალურ განხრის შეტანას. ეს არ ნიშნავს, თითქოს წ9-ლედი ხდებოდეს პროფესიონალურ სასწავლებლად; ის რჩება ზოგად განმანათლებლ, განსაზღვრულ პროფგანხრის მქონე სკოლად და უკანასკნელის ხასიათი დამოკიდებულია იმ რაიონის კულტურულ—სამეურნეო მოთხოვნილებებისაგან, რომელშიაც არსებობს სკოლა. 9 წლედები არსებობს შემდეგის განხრით: პედაგოგიურის (20 სკოლაში). პოლიტიკურ-განმანათლებელის (5) სასოფლო-სამეურნეოს (11), ადმინისტრაციულის (10), კოოპერატიულის (16) და ელექტრო-ტეხნიკურის (2). საბჭოთა ხელის-

უფლებას დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს არა მხოლოდ მოწაფეების და სკოლების ზრდა შედარებით მეფის და მენშევიკების პერიოდთან, არამედ ისიც, რომ რესპუბლიკის ჩამორჩენილ რაიონის მცხოვრებლებიც კი მასიურად ეტანებიან სკოლას. ჩვენ ახლა გვაქვს ეროვნულ ენაზე მომუშავე ყველა საფეხურების სკოლები თავის სახელმძღვანელოებით; უყურადღებოდ არ არის დატოვებული არც ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებანი. ყველა ტიპის დაწესებულებანი არსებობენ ეროვნულ უმცირესობათა ენაზედაც; პირველ დაწყებითი სწავლის საქმე ისე კარგად არის მოკვარებული, რომ სკოლის გარეშე დარჩენილ ბავშთა პროცენტი ნაკლებია ეროვნულ უმცირესობათა შორის, ვიდრე ქართულ მოსახლეობაში.

**ეროვნულ უმცირესობათა სკოლების რაოდენობა ს. ს. ს. რ. ავტონომ. რეს. გამოკლებით**

| სამოსწავლო წელი ეროვნულ სკოლებში | 1920-21 წ. | 1926-27 წ. წ. | | |
|---|---|---|---|---|
| | სკოლების რიცხვი | სკოლების რიცხვი | მოწაფეთა რიცხვი | მასწავლებელთა რიცხვი |
| სომხური | 44 | 128 | 27297 | 617 |
| თურქული | 31 | 87 | 5445 | 89 |
| რუსული | 47 | 63 | 6999 | 394 |
| ოსური | 48 | 27 | 1455 | 184 |
| გერმანული | 3 | 11 | 1477 | 78 |
| ბერძნული | 40 | 36 | 2568 | 191 |
| პოლონური | 1 | 1 | 43 | 7 |
| ებრაული | — | 3 | 3443 | 182 |
| დანარ. ეროვ. | 3 | 9 | | |
| სულ | 216 | 359 | 48727 | 1742 |

**გადასამზადებელი კურსები.**

ეწყობოდა მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები; მსმენელთა რიცხვს უმთავრესად შეადგენდენ 4-წლედას მასწავლებლები; უკანასკნელ 2 წელს 7-9 წლედების და გლეხურ ახალგაზრდობის მასწავლებლებიც.

სკოლის ჰასაკამდე დაწესებულების მუშაკთა მოსამზადებლად გამართულ იქნა სპეციალური კურსები.

სულ იყო მოწყობილი 65 კურსები რომლებზედაც მაკადინობდა 5500 კაცი.

## პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლება

Ის, რაც შექმნილია რევოლუციის მიერ, ცხადია ითხოვს განსაზღვრულ ფორმებში ჩამოყალიბებას, განმტკიცებას და შემდეგ გეგმიან განვითარებას.

საჭიროა ხალხურ-შემოქმედებითი ძალების შეთანხმება მეცნიერების მოთხოვნილებასთან და თანამედროვე ტეხნიკასთან. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მოგველის.

პროფესიონალურ-ტეხნიკურმა სასწავლებლებმა უნდა მოგვცენ ამ საქმისათვის საჭირო სპეციალისტები.

საქართველოში არსებობს 4 უმაღლესი სასწავლებელი: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაარსებული 1918 წ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი, დაარსებული 1917 წ. სახ. კონსერვატორია და სამხატვრო აკადემია. სახ. უნ-ტში არის შემდეგი ფაკ-ტები: პედაგოგიური, სოც-ეკონომიური, საექიმო, სასოფლო-სამეურნეო და პოლიტეხნიკური.

უნივერსიტეტთან არსებობს მუშფაკი 1276 მსმენელით.

ამხ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი შესდგება საინჟენერო და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტისაგან.

პოლიტეხნიკუმთან არსებობს ორი მუშფაკი—რუსული (337 მსმენ.) და სომხური (193 მსმენელით).

უნივერსიტეტში და მასთან არსებულ მუშფაკზე სწავლა სწარმოებს ქართულად, ხოლო პოლიტეხ. ინსტიტუტში, რომელიც ემსახურება საქართველოს ნაც. უმცირესობას რუსულად. საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთა უდიდეს სურვილს განათლების მიღებისა და საშუალო სასწავლებლის რიცხვის „სტიქიურ" ზრდას შედეგად მოჰყვა საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდათა სიჭარბე და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ იქნა ნორმაზე ბევრად მეტი რაოდენობა სტუდენტებისა (იხ. დამატებაში ცხრილი „უმაღლესი სასწავლებლები").

ცხადია, რომ 9—10 წლის განმავლობაში საქართვ. უმაღ. სასწავლებელები ვერ შექმნიდენ იმ პირობებს, რომელიც აუცილებლივ საჭიროა სამეცნიერო მუშაობის გაშლა-გაღრმავებისათვის. საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოსცეს 1000-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ბევრი მოთავსებულია რუსულ და ევროპიულ გამოცემებში. თვით უნივერსიტეტმა დაბეჭდა თავის ხარჯზე 150 სამეცნიერო წიგნი.

აღსანიშნავია, რომ თავის წყობით და ტრადიციით საქართ. უმაღ. სასწავლებლები სულ უკანასკნელ ხანამდე ემზგავსებოდენ რევოლუციის წინა დროის მასწავლებლებს. სასოფლო მეურნეობისა, ბუნებრივ სიმდიდრის, მრეწველობის პერსპექტივის, ელექტრიფიკაციის, საბინაო და საგზაო კოოპერაციის ზრდის ინტერესების მიხედვით და მთავსოცაღზრდისათვის საჭირო პედაგოგიურ ძალე-

ბის მიწოდების მიზნით, შემუშავებულია პედაგოგიურ, სამრეწველო-ეკონომიურ, სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალურ ტეხნიკუმების ახალი ქსელი, რომელთაც უნდა მოგვცენ საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტები. სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმთა ჯგუფი შესდგება სამიწადმოქმედო, მეღვინეობის, მიწადმოწყობის, ჰიდროტეხნიკურ ტეხნიკუმებისაგან. ინდუსტრიალური ჯგუფი შესდგება მექანიკურ, სააღმშენებლო, ელექტრო-ტეხნიკურ და ქიმიურ ტეხნიკუმებისაგან.

4-წლედებისათვის საჭირო მასწავლებელთა კონტინგენტს ამზადებს პედტეხნიკუმები. პედტეხნიკუმთა რიცხვი საქართველოში უდრის 12, რომელთაგან ერთი სომხურია და ერთიც თურქული. სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმების რიცხვია 7. ამათთაგან 5-ში სწავლა სწარმოებს ქართულად, ერთში სომხურად და ერთში რუსულად. კოოპერაციისა და სამრეწველო წარმოწყებათათვის კვალიფიციური მუშაკთა საჭირო რაოდენობის მიწოდების მიზნით გახსნილ იქნა კოოპერატიული, საფინანსო და სხვა სამრეწველო-ეკონომიურ ხასიათის კურსები. ამჟამად საქართველოში არის 27 სამრეწველო-ეკონომიურ ტიპის სხვადასხვა კურსები. ეს კურსები ყოველ წლიურად უშვებს 800-ზე მეტ მსმენელს.

სასოფლო-მეურნეობის წარმოების სხვადასხვა დარგებში ხელმძღვანელობისათვის საჭიროა ვიწრო სპეციალობის ტეხნიკოსები. ამათ უნდა უხელმძღვანელონ მესაქონლეობის, მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობის, სარძეო მეურნეობის და სხვა ამ გვარ საქმეებს. ამ ტიპის ტეხნიკოსებს ამზადებს სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები, რომელთა რიცხვი საქართველოში უდრის 12 პროც.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა უნდა განვითარდეს კოოპერაციის და განსაზოგადოებრივობის მიმართულებით; ზოგ რაიონებში ჩვენ გვაქვს მსხვილი სახალხო მამულები; სასოფლო მეურნეობა უსათუოდ მიიღებს ჩვენში სამრეწველო ხასიათს. მათ მოსავლელად საჭიროა სათანადოთ მომზადებული კვალიფიციური ძალა (მებაღეები, მებოსტნეები, მეთამბაქოები და სხვ.) ამ გვარ სპეციალისტთა მომზადების მიზნით არსებობს ცხრა დაბალი სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ამათთაგან ოთხი მებაღეობისა სკოლაა, 3 მეღვინეობის, 1 მესაქონლეობის, და ერთიც დეკორატიულ მებაღეობისა და მებოსტნეობის. ახლა საკმაოდ გამორკვეულია საქართველოს ინდუსტრიალურ მრეწველობის მდგომარეობა და უახლოესი პესრპექტივა. ინდუსტრიალურ მრეწველობისათვის საჭირო სპეცებს ამზადებს 3 მექანიკური ტეხნიკუმი, 2 ქიმიური ტეხნიკუმი, (ერთი ეროვ. უმცირესობათათვისაა და სწავლა რუსულად სწარმოებს), 1 სააღმშენებლო ტეხნიკუმი და ორი ელექტრო ტეხნიკუმი. ინდუსტრიალურ მრეწველობისათვის საჭირო დაბალ კვალიფიკაციის სპეცებს და ჩვეულებრივ კვალიფიციურ მუშას ამზადებს საქარხნო-საფაბრიკო სკოლები, პროფტეხნიკური კურსები და მუშათა კურსები. ამჟამად საქართველოში არის 5 საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, 12 პროფტეხნიკური სკოლა და 5 მუშათა კურსები.

დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში შინა-მრეწველობას. ამ უკანასკნელის კოოპერიზაციის მიმართულებით განვითარება და მის ტეხნიკურ მხარის გაუმჯობესება მთავრობის ერთი ამოცანათაგანია. შინა მრეწველობისათვის საჭირო ინსტრუქტორების მომზადების მიზნით ჩვენ თანდათან ვაარსებთ სკოლებს სადაც ასწავლიან საფეიქრო, ნოხის და ქსოვის საქმეს. (იხ. დამატ. ცხრილი „პროფტეხნ. სკოლების ზრდა“).

**პოლიტ-განათლების მთავარმმართველობა.**

ცარიზმის დროს პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებათა არსებობის შესახებ ლაპარაკი—აბსურდია, მაგრამ არც მეხშევიკებს გაუკეთებია რაიმე ამ მხრივ.

მხოლოლოდ ერთ მაზრაში, გურიაში, დაარსეს მასწავლებლებმა 1920-1921 წ. კერა-კითხვის შესასწავლი რამოდენიმე ჯგუფი და ისიც საზოგადოების ხარჯზე. რესპუბლიკის დანარჩენ მაზრებში არასად არ არსებობდა ამ გვარი დაწესებულება. მენშევიკების ბატონობის დროს 1920—21 წ.წ. ქალაქად და სოფლად იყო სულ 57-წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელსაც ინახავდა საზოგადოება. მათთვის საჭირო თანხების შესახებ სახელმწიფო არ ზრუნავდა. ახლა კი ჩვენ გვაქვს 426 წიგნთსაცავ-სამკითხველო.

მცხოვრებლების სურვილი ცოდნის შეძენისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობის მიღების ხელსაყრელ პირობებს ქმნის საქართველოში, პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობისათვის. ამასთან დაკავშირებით სახ. პოლიტგანის წინაშე სდგას ამოცანა ერთის მხრივ, პოლიტ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების და მეორეს მხრივ მუშურ-გლეხურ ფართე მასებისათვის ჩვენი მიღწევების და მომავალ საალმშენებლო ამოცანების გაცნობის. მთავარპოლიტგანის დაწესებულებებია: ქოხ-სამკითხველო, სალიკვიდაციო პუნქტები, სამკითხველოები და სხვ. ქოხ-სამკითხველოების რიცხვი საქართველოში (ავტონომ. რესპ. გამოკლებით) უდრის 375. ქოხ-სამკითხველოები უმეტეს შემთხვევაში სათემო ცენტრებშია და ყოველი მათგანი ემსახურება 2-დან 5 სოფელს. ისინი აერთიანებენ მთელ პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას და ხელმძღვანელობენ მას თემის მასშტაბით. ქოხ-სამკითხველოები თანდათან იპყრობენ ჩვენი გლეხობის ყურადღებას და იქ დამსწრეთა რაოდენობა საგრძნობლად იზრდება.

სამკითხველოების მუშაკთა მომზადება და გადამზადება სწარმოებს საბიბლიოთეკო წრეებში. არსებობს საბიბლიოთეკო გაერთიანებანი. მთავპოლიტგანს აქვს ქოხ-სამკითხველოებში 62 სტაციონალური რადიო-მიმღებლები და ამის გარდა კიდევ იგზავნება მაზრებში 10 აპარატი. ეს საქმე სულ მოკლე ხანში დამთავრდება. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს, მცირე წ/კ მცოდნეთა სკოლას, მაღალ ტიპის სკოლას და საღამოს კურსებს ხელმძღვანელობს

განსახკომის სასკოლო განყოფილება. საორიენტაციო ჰასაკად სალიკსკოლებში მიღების დროს, მთავპოლიტგანმა სცნო 18-დან 40 წ. და ამ ჰასაკის წ/კ არ მცოდნე პირთა რაოდენობა იყო 369.248 კ. სალიკვიდაციო პუნქტებზე შეისწავლა წ რა-კითხვა 146.168 სულმა, მათ შორის 17.800 ქალია (ქალები საერთოდ შეადგენენ წ | კ. უკოდინართა დიდ პროცენტს) ე. ი. ეს შეადგენს 39.9 პროც დასაელებულ ჰასაკისა. რჩება 60,1 პროც. (იხილე დამატებ. ცხრილი პოლიტგანის შესახებ).

### მეცნიერულ დაწესებულებათა მთავარმმართველობა

მეცნიერულ დაწესებულებათა მთავარ მმართველობის განკარგულებაში იმყოფება შემდეგი დაწესებულებანი და საზოგადოებანი: გეოფიზიკური ობსერვატორია, საქართველოს მუზეუმი, რევოლუციონური მუზეუმი, ცენტროარქივი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი, სამხატვრო გალერეია, სახელმწიფო სახალხო ბიბლიოთეკა და სხვა. სამეცნიერო დაწესებულებათა შორის არსებობს: ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზ-ბა და ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზ-ბა. ამ ჟამად ითვლება შემდეგი სამეცნიერო დაწესებულებანი.

1) საქართველოს მუზეუმი (რუსთაველის პრ. სასახლის წინ). . . 1867
2) საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმი (უნივერსიტეტის შენობაში) . . . . . 1907
3) ქუთაისის საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმი (ქუთაისში) . . 1922
4) სამეგრელოს „ „ „ (ზუგდიდში) . . 1922
5) საპედაგოგიო მუზეუმი (სანაპიროს ქუჩა) . . . . . 1907
6) სარევოლიუციო მუზეუმი (არ. ჯორჯიაშვილის ქ.) . . . . . 1921
7) საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეია (რუსთ. ქუჩა) . 1921
8) საქართველოს ცენტრ-არქივი (ოლღას ქუჩა) . . . . . 1920
9) გეოფიზიკური ობსერვატორია (პლეხანოვის პრ.) . . . . . 1844
10) სახალხო საჯარო ბიბლიოთეკა (1846) (სასახლე) . . . . . 1920
11) კარტოგრაფიული ინსტიტუტი (უნივერსიტეტი) . . . . . 1923
12) წიგნის პალატა (ცენტრარქივ. შენობა) . . . . . 1924
13) ხელოვანთა სასახლე (ივ. მ. ჩაბლის ქ.) . . . . . 1921
14) გეოლოგიური ინსტიტუტი (უნივერს.) . . . . . 1925
15) საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოება (რუსთ. პროსპ.) . 1921
16) საქართველოს საისტორიო საეთნოგრ. საზოგადოება (რუსთ. პროსპ). . . . . 1907
17) სასოფლო სამეურნეო მუზეუმი (არჩ. ჯორჯიაშვილის ქ.) . . . .
18) ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგ. . . . . 1918
19) ბიბლიოგრაფიული კაბინეტი (ყოფ. პუშკინის წიგნთსაცავი) . . 1925

20) საქართველოს სომეხთა საისტორიო-საეტნოგ. საზოგ. . . . . 1922
21) ქართველ ხელოვანთა საზოვადოება (აკადემ. ქართ. თეატრი) . . 1925
22) ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტი (კომისა) 1924
23) საქართველოს სატეხნიკო საზოგადოება . . . . . 1917
24) გეოგრაფიული საზოგადოება . . . . . 1923
და სხვ.

1917 წ. რევოლუციამ და მასთან დაკავშირებულმა ამბებმა ძლიერ შეაფერხეს გოეფიზიკურ ობსერვატორიის საქმიანობა. განადგურებულ იყო თითქმის მთელი ქსელი მეტეოროლოგიურ სადგურებისა, ძლივს არსებობდა სამაგნიტო განბა (კარსანში) და სრულებით დაიხურა სინოპტიკური, სეისმიური და მეტეოროლოგიური განყოფილებები. 1922 წ. იწყება ობსერვატორიის განახლება და მან გამოიმუშავა თავის საქმიანობის ისეთი პროგრამა, რომელიც სჭარბობდა რევოლუციამდე არსებულ პროგრამებს.

ობსერვატორიასთან არსებობს რადიო-სადგური, რომელიც აკავშირებს დარის აღმრიცხველ განყოფილებას მსოფლიოს დიდ ნაწილთან, დარის პროგნოზის მიზნით. ობსერვატორიას აქვს სინოპტიური და მაგნიტური განყოფილებები და სცემს ყოველთვიურ ბიულეტენებს.

ტფილისის სამუზეუმო ფონდი იქმნებოდა როგორც საზოგადოებრივ ინიციატივით, ისე სახელმწიფოს მიერ. საქართველოს ყველა მუზეუმებში ნივთების შეგროვება სწარმოებს განსაზღვრულ გეგმით. სათანადო მასალების შეგროვების შემდეგ ჩვენ გვექნება: საქართველოს საბუნებისმეტყველო-საისტორიო მუზეუმი; ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. კავკასიის და აღმოსავლეთის უძველეს ხელოვნების მუზეუმი. რევოლუციის მუზეუმი განიყოფება 15 განყოფილებად. ამ მუზეუმში თავმოყრილია საქართველოს რევოლუციონურ და საზოგადოებრივ მოძრაობის ისტორიის საუკეთესო მასალები. სურათების გალერეია იყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთის მხატვრობა და ევროპის მხატვრობა.

წიგნის იშვიათ ფონდს (მხოლოდ ქართულს) წარმოადგენს ყოფილ წ/კ გამავრცელებელ საზ—ბის წიგნთ-საცავი. თავის დროზე, საქართველოში, გარდა რუსეთის საზოგადოებათა ფილიალებისა, მუშაობდა მხოლოდ ისტორიულ—ეთნოგრაფიული საზობა. ამ საზ—ბის მუშაობა ეხებოდა ცოდნის ყველა მხარეს. ახლა მდგომარეობა გამოკეთდა. გაჩნდა ცოდნის ყოველ დარგში სპეციალისტ-მუშაკების საკმაო რიცხვი და დაარსებულ იქნა უფრო სპეციალურ მიზნის მატარებელი საზოგადოებები.

## ხელოვნების მთავარმმართველობა

Ის შემოქმედებითი ენერგია, რომელიც მრავალ საუკუნეთა მანძილზე შედეგად იძლეოდა დიდ კულტურულ მიღწევებს უწინ პოლიტიკურად თავისუფალ საქართველოში, მოდუნებულ იქნა მას შემდეგ რაც ჩვენ მეფის რუსეთის ტყვეო-

ბაში ჩავარდით. მხოლოდ ახლა, რუსეთის დიდი რევოლუციის შემდეგ მოგვეცა ჩვენ საშუალება თავის გამოჩენის. სიყვარულით ვსწავლობთ საქართველოს ხალხურ სიმღერებს, მისი აღნაგობის კანონებს და ამ კანონებთან შეთანხმებით იწერება ახალი ჰიმნები, რომლებიც ადიდებენ განახლებულ საქართველოს შრომას. მუსიკალურ განათლების სათავეში დგას სახელმწ. კონსერვატორია. კონსერვატორიის გარდა არის 5 მუსიკალური ტეხნიკუმი და 7 მუსიკალური სკოლა, რომელიც გახსნილ იქნა მუშათა რაიონებში. საქართველოს ცხოვრებაში სახელმწიფო ოპერა არის დიდი კულტურული ძალა; ოპერის მნიშვნელობა მით უმეტეს დიდია, რომ იმის დახმარებით შესაძლებელია ახალი დაღმები და, მაშასადამე, ქართულ საოპერო მუსიკის განვითარებაც. დღეს ჩვენ გვაქს 10 ორიგინალური ქართული ოპერა, რომელთაგან 5 უკვე შეტანილია რეპერტუარში.

ქართულმა დრამამ გასწყვიტა კავშირი წარსულთან. ახალმა შინაარსმა წარმოშვა ახალი თეატრალური ფორმები და ახალი დადგმები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქართული დრამა მუშაობს პირველხარისხოვან თეატრების თანაბრად. ნათქვამი არ ნიშნავს, თითქოს კლასიკები გამორიცხულ იყონ ქართულ დრამის რეპერტუარიდან. ისინი იდგმებიან და მსახიობთა საუცხოვო თამაში და დადგმა მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ მაყურებელზე.

სახვითი ხელოვნების მდგომარეობა რევოლუციამდე ცუდი იყო, რადგან არ არსებობდა არც ერთი სამხატვრო სკოლა. 1922 წ. საქართველოში დაარსდა სამხატვრო აკადემია. ახალგაზრდა მხატვართა საოცნებო საგნის განხორციელება შესაძლებელ შეიქნა საბჭოთა ხელისუფლების წყალობით და იმის გამო, რომ ტფილისში იყო კარგი მხატვრები. აკადემიასთან არსებობს ხუროთ-მოძღვრების განყოფილება, სადაც მუშაობენ ქართულ ხუროთ-მოძღვრების კარგი მცოდნენი. აკადემიის 191 სტუდენტთა შორის უკვე გამოყოფილია კადრი, საფუძვლიანად მომზადებულ და სახვითი ხელოვნების სფეროში თითქმის დამთავრებულ მუშაკებისა. სამხატრო გამოფენები, სამხატვრო კონკურსები, საზოგადოებრივ ხასიათის სახუროთ-მოძღვრებო დაკვეთანი, ოპერისა და დრამის თეატრალური დადგმანი, რომელთაც აქვთ დიდი მხატვრული ღირებულება,—ყველაფერი ეს კეთდება სამხატვრო აკადემიიდან გამოსულ ხელოვნების მუშაკთა მიერ. ხელოვნების ყველა დაწესებულებებში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული უმცირესობაც, ასე რომ ქართველებია—45,15 პროც. სომხები—28,6 პროც. რუსები—11,3 პროც. ებრაელები—12,75 პროც. და დანარჩენი ეროვნებანი—2,2 პროც.

## სახელმწიფო გამოცემლობა.

სკოლების გაეროვნებასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება სკოლების სახელმძღვანელოებზე, პოპულიარულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაზე, მხარეთ-მცოდნეობას და სამეცნიერო ლიტერატურაზე, მაგრამ ამ საქმის ფართე ნიადაგზე დაყენება ვერ ხერხდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება აქვს

მიქცეული საზოგადოებრივ პოლიტიკურ სახელმძღვანელოებისა და ქართულ კლასიკების გამოცემას.

დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ამ სფეროში პირველ და მეორე საფეხურების სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების მასიური გამოცემა. სკოლებისათვის საჭირო წიგნები იცემა განსახკომის ხელმძღვანელობით. დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურის გამოცემას (იხილე დამატებაში ცხრილი სახ.-გამომცემლობის შესახებ.)

სახელმძღვანელოების გამოცემის საქმეს მეტად ინტენსიურად აწარმოებდა სახელგამი. 1925—26 წ.წ. სახელ-გამმა დააკმაყოფილა მოსწავლეთა მოთხოვნილებანი 78—80 პროც-ით და 1926—27 წ.წ. 86 პროც-ით. სახელგამის გარდა საქართველოში არსებობს გამომცემლობის 10 სააქციონერო საზ—ბი, რომლებიც დიდათ უწყობენ ხელს ადგილობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ამ რიგად, წიგნის პროდუქცია, მენშევიკურ პერიოდთან შედარებით გამოიხატება ასე: მენშევიკების დროს გამოცემულია 599 წიგნი—სახელწოდება და საბჭოთა ხელისუფლების დროს კი გამოცემულია 2622 წიგნი—სახელწოდება.

---

**ვ. ჯ. ბერიძე**

## ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებანი

განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობაში ცალკე აღსანიშნავია რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის მოღვაწეობა საბჭოთა ძალაუფლების დამკვიდრებიდან, ვიდრე დღემდე.

მთავარმართველობა დაარსდა 1922 წლის დასაწყისში. მის გამგებლობას ექვემდებარება:

1. საქართველოს მუზეუმი, 2. საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი. 3. საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია, 4. საქართველოს ცენტრარქივი, 5. სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილება, 6. სარევოლუციო მუზეუმი. 7. ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმი, 8. ეროვნული გალერეია 9. საქართველოს გეოლოგიური ინსტიტუტი, 10, საქართველოს წიგნის პალატა. 11. სამეგრელოს მუზეუმი, 12. ქუთაისის მუზეუმი, 13. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება, 14 საქართველოს საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოება. 15. საქართველოს საგეოკრაფიო საზოგადოება, 16. საქართველოს სატეხნიკო საზოგადოება, 17. ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება და სხვ.

ამათგან ზოგი გასაბჭოებამდე არსებობდა, ზოგიც-ამ ექვსი წლის განმავლობაშია დაარსებული. ამგვარია:

1. საქართველოს ცენტრარქიეი;

2. სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილება;
3. სარევოლუციო მუზეუმი;
4. ქუთაისის მუზეუმი;
5. სამეკრელოს მუზეუმი;
6. გეოლოკიური ინსტიტუტი;
7. წიგნის პალატა;
8. საენათმეცნიერო საზოგადოება.

I. მეტად მ ძიმე მემკვიდრეობა გადმოეცა წარსულიდან საარქივო საქმეს ჩვენში: არავითარი ერთიანი გამგე-აპარატი არ არსებობდა, არამედ ცალკე უწყებათა, განკერძოებული, სხვადას ვა წესზე, ანუ უკეთ რომა ვთქვათ, სრულიად უწესოდ და ყებული საარქივო აქმეები. რომელთა სათავეშიაც იდ ენ სა სებით მოუმზადებელი სამოწყალოდ დანიშნული, პენსია-დამსახურებული მოხელეები თვით არქივში შესვლა და მუშაობა მიუვდომელი იყო. მაგრამ მოსახერხებელიც რომ-ყოფილიყო უსარგებლო იქნებოდა, რადკან არც ერთი საქმე" არ იყო შესწავლილი თანამედროვე არქივთმკოდნეობის მოთხოვნილების მიხედვით.

რას წარმოადგენს დღეს ცენტრარქივი?

უდიდეს სამეცნიერო დაწესებუ ებას, სადაც თავმოყრილია ჩვენი ქვეყნისა და მთელი ა/კავკასიის (და ახლო აღმოსავლეთისაც) შესახები საარქივო მასალები, რომელთაც ფასდაუ ებელი მნიშვნელობა აქ თ წარსულის შემეცნებისათვის, მის სოციალურ-ეკო ომიურისა და პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობის გათვალისწინებისათვის.

ცენტრარქივს აქვს თავისი საკუთარი ორგანო, სადაც იბეჭდება სპეციალური გამოკვლევები. წულ გამოცემულია 7 წიგნი.

II. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე დაიწყო მუშაობა **სიძველეთა, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილებამ.** განათლებულ ქვეყნებში სიძველეთა დაცვა დიდი ხანია სახელმწიფოს ზრუნვის საგანადაა გამხდარი და ჩვენ, მაგ ითალიაში, სათანადო დეკრეტიც არსებობდა ჯერ კიდევ მე-15 ს., რომელიც სასტიკად სჯიდა ხელოვნების ძეგლის უდიერად მომპყრობს.

ჩვენში მაოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მიაქცია ას პირველად ყურადღება და, სპეციალურ ძეთვალყურე ორგანოს შექმნით, უეჭველად ბოლო მოუღო იმ ბარბაროსულ მოპყრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელოვნების ძეგლებისადმი.

და ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან სიძველეთა და ხელოვნების ძეგლები ხომ ის საგნებია, რომლებიც მეტად თვალსაჩინოდ და ამასთანავე ობიექტ ურად გვიჩვენებენ, თუ როკორ უცხოვრია ადამიანს საუკუნეთა განმავლობაში, რა ბრძოლა გამოუვლია მას ბუნებასთან, რაგვარი ყოფილა მისი ზნე, ჩვეულება, მისი ურთიერთობა მეზობელთან, მტერი იყო იგი თუ მოყვარე, რა მონა-

წილეობა მიუღია მას საოჯახო, სამნეო და სხვა მშენებლობაში და სხვადასხვა.

ამ მხრივ ამ ძეგლებს უეჭველი უპირატესობა აქვთ თუნდაც დაწერილ ძეგლებთან, ვინაიდან ნივთიერი ძეგლი შედარებით ნაკლებად ტენდენციურია, ვიდრე დაწერილი. უკანასკნელს საუკუნეთა განმავლობაში ბევრი არამკითხე კომენტატორი, შემსწორებელი ჰყავდა, ნივთიერ ძეგლს კი ვერც ისე ადვილად შესცვლი. ყოველ შემთხვევაში, ეს ცვლილება ადვილად გამოსაცნობია და მაშასადამე, ადვილადაც მოსაშორებელი.

ერთი სიტყვით, სიძველეთა და ხელოვნების ძეგლები **ნივთიერი არქივია, ნივთიერი ბიბლიოთეკაა** და, როგორც უკანასკნელთ ჩვენ ვუყვარდით და ვინახავთ, იმგვარადვე უნდა მოვეპყრათ იმ ძეგლთაც, რომელნიც ჩვენ ნივთიერის ენით გველაპარაკებიან და, თუ ვისთვისმე უნდა ჰქონოდა ამ ნივთთ მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა ჩვენთვის, რომელთათვის „პირველითგან საგანი, საქმე იყო“ და არის.

III. **წიგნის პალატის** დანიშნულებაა ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა რეგისტრაცია და ბიბილიოგრაფია, იგი დაარსდა 1924 წლის აპრილში, ამ ხნის განმავლობაში აღსანიშნავია მისი შემდეგი მიღწევანი:

ა/ დააგროვა ბიბლიოგრაფიული მასალა ქართულ წიგნის პროდუქციისა— 1917 წლის პირველ იანვრიდან, ვიდრე 1925 წლის დამლევამდე და კიდევაც გამოსცა თავის „წიგნის მატიანეს“ პირველ ტომად, რომელიც 520 გვერდს შეიცავს.

ბ/ დღიდან არსებობისა აწარმოებს ყოველგვარ ბეჭდვით ნაწარმოებთა სისტემატიურ რეგისტრაციას, მიმდინარე ბიბილიოგრაფიას და, მასალის დამზადებისთანავე, ბეჭდავს ასეთს ბიბლიოგრაფიულ ნუსხას; სულ დღემდე გამოცემულია 9 ნომერი.

გ/ 1926 წლიდან პალატა აწარმოებს საჟურნალო და საგაზეთო პერიოდიკის სრულ ბიბლიოგრაფიასაც, მაგრამ, უსახსრობის გამო, დღემდე დაბეჭდა ვერ მოხერხებულა.

დ/ პალატა ამზადებს მასალას ქართული სტამბის 300 წლის თავისათვის.

IV. მესამე დაწესებულება, რომელსაც ამ ხანებშივე მტკიცე საფუძველი ჩაეყარა **სარევოლუციო მეზეუმია**, შემცველი იშვიათ მასალათა სარევოლუციო მოძრაობის გასათვალისწინებლად მთელს ა/კავკ. და განსაკუთრებით საქართველოში.

V. ახლადვე დაარსებულია, როგორც ზევით ვთქვით:

ა/ **სამეგრელოს მუზეუმი**, სადაც მოთავსებულია არქივ-ბიბლიოთეკები და საისტორიო მნიშვნელობის ნივთები სამეგრელოს ყოფ. მთავართა სასახლეთაგან.

ბ/ **ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი**, მდიდარი საისტორიო კოლექციებით, ჭედვითი ხელოვნების ნივთებით, ქსოვილებით და ძველის ხელნაწერებით.

VI. **გეოლოგიური ინსტიტუტი**—მეორე წელია, რაც დაარსდა. მისი მიზანია:

შექმნას ჩვენს დედაქალაქში სათანადო პირობები გეოლოგიურ კვლევა-ძიების საწარმოებლად; აწარმოოს საქართველოს გეოლოგიური შესწავლა სისტემატიურად; დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის იმ სამნე დაწესებულებათ, რომელთა მოღვაწეობაც დაკავშირებულია გეოლოგიის გამოყენებასთან.

VII. **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება.** საზოგადოების მიზანია შეაგროვოს და შეისწავლოს ჩვენი ქვეყნისა და მთელი კავკასიის უმდიდრესი ენობრივი ფაქტები, რაიც ყოველთვის საჭირო იყო, მაგრამ განსაკუთრებით აუცილებელი შეიქმნა დღეს, ამ უდიდეს სოციალურ გარდატეხის დროს, როდესაც ელვისებრ სწრაფად ქრება ძველი ლექსიკონი და იბადება ახალი.

უგულებელყოფა ამ მოვლენის, მისი ანგარიშ გაუწევნელობა, უდიდესი დანაშაული იქნებოდა ჩვენის მხრით და გამოუსწორებელი ზიანიც მეცნიერებისათვის.

და საზოგადოებამაც, თუ მივიღებთ მხედველობაში მის ახალგაზრდობას და ხელმოკლეობას, მეტად თვალსაჩინო შედეგებს მიაღწია: ჯერ-ჯერობით გამოცემულია მეცნიერულად დამუშავებულ მასალათა ერთი ტომი, დიდი ნაწილი შრომათა კი რედაქციის პორტფელშია და უცდის სახსარს.

ამგვარი იყო (მოკლედ) ახალ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობა.

რაიცა შეეხება ძველ დაწესებულებებს, ისინიც ამ ხნის განმავლობაში განაგრძობდენ სამეცნიერო მუშაობას და უპირველესად ყოვლისა—ომისა და რევოლუციის ხანაში შეწყვეტილ სამუშაოთა აღდგენას.

ამ მხრივ ყველაზე მეტად გეოფიზიკური ობსერვატორია იყო დაზარალებული. რამდენიმე ძირითადი განყოფილება სავსებით დაიკეტა, სხვებშიაც მუშაობა მინიმუმამდე დავიდა; იგი გამოეთიშა თანაბარ მსოფლიო დაწესებულებათ და თითქმის სიკვდილის პირამდე მივიდა. ასეთი იყო მდგომარეობა 1922 წ. საიდანაც იწყება ობსერვატორიის თანდათანი აღდგენა და დღეს იგი სავსებით ნორმალურ კალაპოტშია ჩამდგარი.

ა) მეტეოროლოგიურ სადგურთა რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ომის წინა დროს გადააჭარბა.

ბ) გაიხსნა ახალი განყოფილებანი სინოპტიური, აეროლოგიური, აქტინომეტრიული, რომელთაც მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და საზოგადოდ მეცნიერებისათვის განუზომელია;

გ) მომზადდა ახალი კადრი პასუხის მგებელ თანამშრომელთა, რომელთაც სათანადოდ შესწავლილი აქვთ გეოფიზიკის ახალი მიღწევები;

დ) დაიწყო ბეჭდვა ყოველდღიურ ბიულეტენებისა;

ე) დამზადდა დასაბეჭდად 10 წლის განმავლობაში დაგროვილი მასალები;

ი) განახლდა კავშირი მთელი ქვეყნის ობსერვატორიებთან და სხვადასხვა.

ერთი სიტყვით, ობსერვატორია კვალად ღირსეულად დაუბრუნდა სამეცნიერო დაწესებულებათა ოჯახს, და ამ მხრივ **ჩვენი მიუცილებული ზრუნვა უნდა იქნეს—მდგომარეობის განმტკიცება.**

ამ მიზნით აუცილებლად საჭიროა ობსერვატორია იდგეს მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა დონეზე, რაიც მოითხოვს ობსერვატორიისათვის საჭირო დაძველებულ და გაცვეთილ ხელსაწყოთა შეცვლას და მეცნიერ-მუშაკთა კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლებას.

მეორე დიდი დაწესებულება, რომელსაც კვალად მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, **საქართველოს მუზეუმია.** იგი ერთი უხუცესთაგანია ჩვენში, მაგრამ მისი ფასდაუდებელ ღირებულების ექსპონატები უკანასკნელ დრომდე თითქმის სავსებით ყუთებში იყო ჩალაგებული შენობის უქონლობის გამო: სპეციალურად დაწყებულ მისი შენობის აგება შეჩერებულ იქნა ომის დროს და განახლდა მხოლოდ ახლახან.

ჩამოვთვალი მხოლოდ მუზეუმის მიღწევათ ამ ხნის განმავლობაში:

1. დამთავრებული იქნა შენობის ფლიგელები.
2. გადაიდვა 350 ათასი მან. და წარმოებს მუშაობა შენობის დასამთავრებლად.
3. მოეწყო ზოოლოგიურ განყოფილების ნაწილობრივი გამოფენა.
4. მოეწყო საჯარო აუდიტორია ლექციებისა და მოხსენებისათვის.
5. გამოიცა მუზეუმის „მოამბის" № 2. და 3, და შრომების №№ 3.4.5.
6. გეოლიგურ განყოფილებაში შემოვიდა 2384 საგანი, ბოტანიკურში 30.867 ფურცელი, ზოოლოგიაში 36.480 საგანი, ეთნოგრაფიაში 2968, არქეოლოგიაში 2769, ბიბლიოთეკას შეემატა 5448 წიგნი.
7. მოეწყო 11 დიდი და 100-ზე მეტი მცირე ექსკურსია.
8. აღდგენ ლ იქნა ურთიერთობა რუსეთისა და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან და სხვადასხვა.

**საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი:** თუ რა შემკრებლობითი მუშაობა აწარმოვა მუზეუმმა, ეს ნათლად ჩანს შემდეგიდან.

| | 1920 წელს იყო: | 1927 წელს არის |
|---|---|---|
| 1. | საარქეოლოგიო-საეთნოგრაფ. ნივთი . . . . | 2868 . . . . . 4457 |
| 2. | ქსოვილები . . . . . | 607 . . . . . 782 |
| 3. | სურათები და ალბომები . . . . . | 762 . . . . . 1504 |
| 4. | ქანდაკებანი და მოდელები . . . . . | 104 . . . . . 147 |
| 5. | ძველი ფულები . . . . | 14.005 . . . . . 17.526 |
| 6. | მედალიონები და ჟეტონები . . . . . | 121 . . . . . 203 |
| 7. | ხელნაწერი წიგნები . . | 1734 . . . . . 3119 |
| 7. | ქართული წიგნები . . | 2018 . . . . . 7902 |
| 9. | არა ქართული . . . . | 8971 . . . . . 15.129 |
| 10. | სიგელ-გუჯრები . . . | 8050 . . . . . 15.249 |

**სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა.** ამ ხნის განმავლობაში ბიბლიოთეკა შემკრებლობითს მუშაობას აწარმოებდა: ამ მხრივ წლიური მისი „შემატება“ თითქმის 50 ათას უდრიდა—დღეს მთელი საბიბლიოთეკო ფონდი 1/2 მილიონ ტომს უდრის. სამწუხაროდ, შენობის უქონლობის გამო, ბიბლიოთეკა, არაა გაშლილი.

აღარ ვეხები დანარჩენ დაწესებულებათა მუშაობას.

თვითოეული მათგანი მუშაობდა მათთვის არსებულ დებულებისა და პროგრამის მიხედვით.

მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ ჩვენის აზრით, სამეცნიერო დაწესებულებათა ძირითადი პრობლემა მაინც არაა გადაწყვეტილი ეს პრობლემა ეხება თვითოეულ დაწესებულების არსებობის უფლებას, ე. ი. თვითოეულ დაწესებულების არსებობა გამართლებული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი აუცილებლად უნდა დაიკეტოს, უნდა გაუქმდეს.

მდგომარეობა ამ მხრივ არ არის ნორმალური.

მუზეუმები კვალად წინანდებურად განაგრძობენ მუშაობას, ე. ი. სხვადასხვა მიზნისა და დანიშნულების დაწესებულებანი ჰკრებენ კოლექციებსა და საგნებს ერთ-და-იმავე დარგიდან, ისინი აწარმოებენ პარალელურ მუშაობას, რაიც თვითოეულს მათგანს უნივერსალური მუზეუმის ხასიათს აძლევს.

რამდენად მიზანშეწონილია ეს?

თავის დროზე, თავის არსებობის პირველ ხანებში, როდესაც ჩვენ ექსპონატთა დაგროვების პერიოდში ვიყავით, როდესაც ამ მხრივ კერძო და მთავრობის ინიციატივა ერთმანეთს ეჯიბრებოდენ,—ეს საჭირო, აუცილებული და სასარგებლო იყო.

მაგრამ დღეს ჩვენ უკვე გადავლახეთ ეს ხანა, დღეს ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით მარტოოდენ ნივთების შეგროვებით და მათი დაცვით. ცხოვრება შემდეგი ნაბიჯების გადადგმასაც მოითხოვს; საჭიროა—საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ, ადამიანის მიერ განვლილის წარმოების სხვადასხვა საფეხურის უტყუარად მაუწყებელ ფასდაუდებელ ღირებულების მატერიალურ საგანთა შესწავლა და მათი გამოყენება საგანმანათლებლო მიზნით.

და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ საკმაებით უკუვაგდებთ ძველს, უკვე დრომოჭმულ შეხედულებას მუზეუმის დანიშნულებაზე.

იგი არ არის კერძო საკუთრება, მაშასადამე, მისი არსებობაც არ უნდა იყოს დაკავშირებული რაიმე ტრადიციასთან ან ვისმე ანდერძთან.

სამუზეუმო ქონება ერთიანი სახელმწიფო ფონდია და მის დანაწილებასაც საფუძვლად უნდა დაედოს განსაზღვრული მიზანი, ცხოვრების დღევანდელ მოთხოვნილებასთან დაკავშირებული. სხვაგვარად რომა ვთქვათ, თუ მუზეუმის მიზანია მოგვცეს სახე ქვეყნის მატერიალური კულტურისა, ამისდა მიხედვით, მთელი სამუზეუმო ქონებაც თანაბრადვე დაყოფილი უნდა იყოს მატერიალურ კულტურის ძირითად დარგთა მიხედვით.

ეს იქნება კოლექციათა ნამდვილი მეცნიერული დიფერენციაცია, სადაც ერთგვარ კოლექციათა გაერთიანებით დაწესდება მუზეუმთა ძირითადი ქსელი, თვითოეულისათვის თავის საკუთარის, სპეციალურ დანიშნულებითა და განრიგებით.

მაშინ ჩვენს მუზეუმებს ს ა ვ ს ე ბ ი თ დაეკარგებათ ს ა წ უ ო ბ ი ს ხასიათი:

ა) თვითეულ დაწესებულებაში მოეწყობა ექსპონატთა საუკეთესო გამოფენა.

ბ) თვითოეულ დარგის მეცნიერული მიმოხილვაც სისტემატიურად, მთლიანად, მთელს თავის სიგრძეზე უფრო შესაძლებელი იქნება.

ყველაფერი ეს მით უმეტეს შესაძლებელია, რომ მოკლე ხანში ჩვენ გვექნება საუკეთესო სამუზეუმო შენობა.

დასასრულ, სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობაში პარალელიზმის მოსპობასთან დაკავშირებით, ორიოდე სიტყვა კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტის შესახებ. იგი საკავშირო აკადემიის დაწესებულებად ითვლება, მაგრამ—პირდაპირ უნდა ითქვას—დღეს ვერც თავის მეცნიერულ მუშაკთა შედგენილობით და ვერც მიმართულებით ოდნავადაც ვერ ატარებს საკავშირო მომენტებს: ამ მხრივ მას უთუოდ ეჭირვება რეორგანიზაცია, რასაც თვით მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი მარრიც ამბობს. „При новом режиме, при свободе национальностей... в создавшихся на Кавказе новых условиях научной работы, получившей или получающей свои особые нациоально-организационные формы КИАИ (ინსტიტუტი) надо сильно поработать над собой, чтобы выбраться на широкий путь увязки совместной научной работы с национальными организациями народов Советского Кавказа (იხ. Отчет о деятельности Академии Наук СССР за 1926 г. 1, გვ. 244).

თუ დღევანდელი ინსტიტუტი ამგვარ რეფორმას ვერ მოახდენს, მის არსებობას ტფილისში აზრი აღარ აქვს.

---

ბ. ბიბინეიშვილი

## წიგნი საბჭოთა საქართველოში

ოქტომბრის დიდი რევოლუციის ათი წლის თავზე სხვა მიღწევებთან ერთად საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა გაკეთებულა საბჭოთა საქართველოში ხალხის კულტურული დონის ასაწევად, რასაც ჩვენი მთავრობა და პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს. აღვნიშნოთ, თუ რა წარმატება გვაქვს ამ უკანასკნელი 6—7 წლის განმავლობაში წიგნთა გამომცემლობის დარგში.

ქართული გამომცემლობის წარმატება ცხადი გახდება ჩვენთვის, თუ ერთმანეთს შევადარებთ მეწშევიკების პერიოდისა და საბჭოთა ხელისუფლების ხანის პროდუქციას. საილუსტრაციოდ ავიღოთ 1920 და 1925 წლები. შედარება აქ მხოლოდ სახელწოდებათა რიცხვის მხრით იქნება, ვინაიდან ტირაჟის შესახებ სათანადო ცნობები არ მოიპოვება. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში

რომ მენშევიკების დროის გამოცემათა უმრავლესობას ბროშიურები წარმოადგენს და სქელ-ტანიანი წიგნი იშვიათი მოვლენაა. იგივე ითქმის ტირაჟის შესახებაც, რაც ზემოთაც აღვნიშნეთ. თუ წინედ მაქსიმალური ტირაჟი სამი ათას უდრიდა, ახლანდელი საშუალო ტირაჟი უკვე ხუთი ათასია (არის ასიათასიანი ტირაჟის მქონე წიგნებიც). შევადაროთ ახლა ზემოხსენებული ორი წლის პროდუქცია:

## ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ.

| | მენშევიკების დროს. 1920 წელს. | საბჭოთა ხელისუფლების დროს. 1925 წელს |
|---|---|---|
| სამეცნიერო შინაარსისა | 29 წიგნი | 35 წ. |
| პოლიტიკ. და სააგიტ. | 35 „ | 76 „ |
| სასწ. პედაგოგიური | 81 „ | 112 „ |
| სამეც. პოპულიარული | 17 „ | 185 „ |
| საბუთები და უწყებათა ანგარიშები | 16 „ | 116 „ |
| ცნობათა საძიებელი | 8 „ | 19 „ |
| კაზმული მწერლობა | 64 „ | 60 „ |
| საბავშო მწერლობა | 9 „ | 34 „ |
| სხვადასხვა | 7 „ | 13 „ |

როგორც ხედავთ, აქ ზრდა თვალსაჩინო და უეჭველია.

1917—20 წ. ქართულ ენაზე სულ გამოცემულია—599 წიგნი, ხოლო 1921—25 წ. 1610; ჟურნალ-გაზეთები გამოცემულია 1917—20 წ.—187; 1921—25 წ. 330.

ვერც მენშევიკების, მით უმეტეს მეფის რეჟიმის დროს, ვერავინ იოცნებებდა ჟურნალ-გაზეთების იმ ტირაჟზე, რაიც დღეს გვაქვს. მაშინდელი გავრცელებული გაზეთების (მაგალითად „ერთობისა“) ტირაჟი არ აღემატებოდა 8.000 ცალს. ახლა კი **„კომუნისტი“**—20.000 ცალზე მეტი იბეჭდება, **„მუშა“** 15.000, ხოლო კვირეული **„ახალი სოფელი“**—55.000 ცალი. ეს გარემოება ცხადად მოწმობს, რომ წიგნის და ჟურნალ-გაზეთების კითხვის საქმეში ჩვენი ხალხის ფართო მასები ჩაება, რაიც, კულტურის დონის საგრძნობლად მაღლა აწევას ნიშნავს.

საბჭოთა საქართველოში წიგნის პროდუქციის უმთავრესი სახელოსნო, ცხადია—სახელმწიფო გამომცემლობაა. იგი საქართველოს კულტურულ ფრონტზე პირველსა და ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ქართული წიგნის საქმე მან, შეიძლება ითქვას, უკვე მტკიცე ნიადაგზე დააყენა. სახელგამის ირგვლივ თავს იყრიან როგორც პედაგოგიური, ისე მხატვრული ლიტერატურის ძალები, ვინაიდან სახელგამი ერთად-ერთი უდიდესი ორგანიზაციაა, რომლის გამომცემლობასაც უნივერსალური, ენციკლოპედიური ხასიათი აქვს.

თვალი გადავავლოთ, თუ რანაირად იზრდებოდა სახელგამის პროდუქცია გასულ წლებში:

**გ ა მ ო ც ე მ ა:**

| | სახელწოდება. | ტირაჟი: |
|---|---|---|
| 1921 წ. | 23 | 101.570 |
| 1922 „ | 52 | 218.000 |
| 1923 „ | 133 | 628.000 |
| 1924 „ | 97 | 562.000 |
| 1925 „ | 75 | 570.000 |
| 1926 „ | 211 | 1.008.000 |
| 1927 „ (ოქტ.) | 221 | 889.000 |

**პ რ ო დ უ ქ ც ი ა ნ ა ბ ე ჭ დ ფ უ რ ც ლ ე ბ ი ს ა.**

(ფორმებისა)

| | |
|---|---|
| 1924 წელი . . . . . | 542 |
| 1925 „ . . . . . | 808 |
| 1926 „ . . . . . | 1441 |
| 1927 (9 თვეში) . . . . . | 2210 |

სულ 1921—1927 წ. 1-ლ ოქტომბრამდე სახელგამს გამოცემული აქვს 813 სხვადასხვა დარგის წიგნი, ტირაჟით 3.976.570 ცალი, ე. ი. მარტო სახელგამის პროდუქცია, სხვა გამომცემლობანი რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ერთნახევარჯერ აღემატება მენშევიკების დროის წიგნის პროდუქციას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ წინანდელ წლებისაგან განსხვავებით, სახელგამმა წელს გამოუშვა მთელი რიგი სახელმძღვანელოები ქართული უნივერსიტეტისათვის. მას განსაკუთრებული შეთანხმება ჰქონდა ტფილისის უნივერსიტეტთან და მის მიერ დადასტურებული ფრიად საჭირო რამდენიმე ნაშრომი გამოსცა. სულ ჯერ-ჯერობით გამოცემულია ათი დიდი წიგნი და მოკლე ხანში კიდევ გამოვა ხუთი. ასე რომ უნივერსიტეტში მოსწავლე ახალგაზრდობა, ასე თუ ისე, სახელმძღვანელოებით წელს დაკმაყოფილებულია.

სახელგამს განსაკუთრებული შეთანხმება აქვს აგრეთვე ქართული დივიზიის შტაბთან, რომლის არჩევითაც მან გამოსცა 33 სამხედრო პოპულიარული წიგნაკი, რაიც ფართო მასებში სამხედრო ცოდნის გავრცელებას ხელს შეუწყობს. იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა დაახლოებით ამდენივე წიგნაკი.

გარდა ამისა სახელგამი სცემს შემდეგ ჟურნალებს:

„მნათობი“, „პროლეტარული მწერლობა“, „ახალგაზრდა ბოლშევიკი“, „ქართული მწერლობა“. საბავშო ჟურნალებს: „ნაკადული“, „პიონერი“, „კარმირ-წილერ“ (სომხ.). „კიზილ-შეფეკ“ (თურქ.).

გარდა პროდუქციის გაზრდისათვის ზრუნვისა, სახელგამი იღებს ზომებს, რომ გამოცემული ლიტერატურა ფართოდ გაავრცელოს. ტფილისში მას აქვს

ხუთი მაღაზია და ორი საწყობი. წინანდელი შვიდი პროვინციალური განყოფილებების მაგივრად, დღეს მას აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში 12 სავაჭრო პუნქტი: თელავსა, გორსა, ქუთაისსა, ბათომსა, ჭრებალოს, ონს, ახალსენაკს, ზესტაფონსა, ფოთს, ლანჩხუთსა, მათხოჯსა და დუშეთში. გარდა ამისა, ყველა სასკოლო კოოპერატივს ეძლევა მნიშვნელოვანი ფასდაკლება, რათა საქართველოს არც ერთი კუთხე ულიტერატუროდ არ დარჩეს.

რასაკვირველია, ჯერ-ჯეროობით ყველაფერი არ არის გაკეთებული. კიდევ ბევრი მუშაობა დაგვჭირდება ხალხის ფართო მასების კულტურული დონის ასამაღლებლად; კიდევ ბევრი გვაკლია იქამდე, რომ წიგნი საბჭოთა საქართველოს თვითეული მუშის, თვითეული გლეხის საუკეთესო და საყვარელი მეგობარი გახდეს. მაგრამ ის რაც აქამდე გაკეთდა—საწინდარია იმისა, რომ ჩვენ სავსებით გავიმარჯვებთ მასების განათლებისათვის ბრძოლის ამ ფრიად მნიშვნელოვან ფრონტზედაც.

---

მ. კანელი.

## ტფილისის შრომის სკოლები*).

ჩვენმა სკოლამ ახალ პირობების მიხედვით სახე იცვალა: ცხადია, იგი, არა გავს ძველს, დახავსებული წესწყობილების სკოლას. თუ იქ მეფობდა ფორმალიზმი „სქოლასტიკა“, და უცხო ენის საშუალებით საგნების შესწავლის სიძნელენი, დღეს ჩვენ სულ სხვა ხასიათის სკოლა გვაქვს. შრომის სკოლა—პირმშო შვილია ჩვენი სინამდვილისა, რევოლუციის ერთერთ მონაპოვართაგანი, რომლისგან საგრძნობლად დამოკიდებულია ჩვენი მომავალი. ეს არსებითად. მაგრამ ჩვენ გვაქვს სტატისტიკური ციფრები, რომლებიც მოწმობენ, თუ რამდენად იზრდება თანდათან სკოლებისა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვი.

ავიღოთ სტატისტიკური ცნობები მასსიური ხასიათის სკოლების შესახებ სახელდობრ შრომის სკოლების, და ისიც მხოლოდ ტფილისში. აქ, როგორც ვიცით, თითქმის ყველა შრომის სკოლები აღმასკომის განათლების განყოფილების გამგებლობაშია და ცნობები ამ სკოლების შესახებ სავსებით დამახასიათებელია სწავლების საქმისა ქ. ტფილისში.

იყო ტფილისში სკოლები, სადაც მეცადინეობა სწარმოებდა:

| | ქართულ ენაზე | სომხურ ენაზე | რუსულ ენაზე | თურქულ ენაზე | დანარჩ. ენ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1922-23 წ. | 28 | 22 | 22 | 4 | 6 |
| 1923-24 „ | 28 | 22 | 24 | 4 | 6 |
| 1924 25 „ | 28 | 22 | 25 | 4 | 6 |
| 1925-26 „ | 30 | 23 | 25 | 4 | 6 |
| 1926-27 „ | 30 | 23 | 25 | 4 | 5 |

*) ტფილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების მასალების მიხედვით.

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ქართულ სკოლათა რიცხვი 1922—23 წლიდან გაზრდილია 7 პროც., სომხურ სკოლათა რიცხვი—4 პროცენტით, ხოლო რუსულ სკოლათა რიცხვი—14 პროცენტით.

იყო სკოლები ქ. ტფილისში წლების მიხედვით:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1922-23 | წელს | 82 | 100 პროც. |
| 1923-24 | ,, | 84 | 102,4 ,, |
| 1924-25 | ,, | 87 | 106,1 ,, |
| 1925-26 | ,, | 88 | 107,3 ,, |
| 1926-27 | ,, | 87 | 106,1 პროც. |

ამნაირად, სკოლების რიცხვი 1922-23 სასწავლო წლიდან დღემდე 6,1 პროც.-ით გაზრდილა. მაგრამ სკოლათა რიცხვის ზრდას, ცხადია, გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ ვაკუთვნებთ. შეიძლება სკოლათა რიცხვი უცვლელიც დარჩეს წლების განმავლობაში, მაგრამ სკოლაში იზრდებოდეს ჯგუფების რიცხვი და ამასთან პარალელურად მოსწავლეთა და მასწავლებელთა რიცხვი. და აი, ჩვენ სწორედ აქ ვხედავთ დიდ ზრდას. ვალაპარაკოთ ციფრები.

იყო ჯგუფები, მოსწავლეები და მასწავლებლები წლების მიხედვით:

| წლები | ჯგუფები | % | მოსწავლენი | % | მასწავლებლები | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1922—23 წელს | 644 | 100,0 | 23.402 | 100,0 | 1.133 | 100,0 |
| 1923—24 „ | 763 | 118,4 | 27.452 | 117,3 | 1.293 | 114,1 |
| 1924—25 „ | 962 | 149,4 | 33.411 | 142,8 | 1.641 | 144,8 |
| 1925—26 „ | 995 | 154,5 | 33 389 | 142,6 | 1.650 | 145,6 |
| 1926—27 „ | 1.015 | 157,6 | 33.860 | 144,7 | 1.638 | 143,7 |

როგორც ვხედავთ, 1922—23 წელთან შედარებით უკანასკნელ 1926—27 წელს ჯგუფების რიცხვი 57,6 პროცენტით გაზრდილა; მოსწავლეთა რიცხვი გაზრდილა 44,7 პროცენტით, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი—43,7 პროცენტით.

მოსწავლეთა რიცხვის ზრდას არ მოჰყოლია ჯგუფებში მოსწავლეთა შემჭიდროვება, და ჯგუფების ზრდა თითქმის წინ უსწრობს მოსწავლეთა ზრდას. როგორც მოყვანილი ციფრებიდან ვხედავთ, 1922—23 სასწ. წელზე თითო ჯგუფზე, საშუალოდ, 36 მოსწავლე მოდიოდა, ხოლო 1926—27 წელს თითო ჯგუფზე მოდიოდა 33 მოსწავლე. ეს ტენდენციაა, ცხადია, სწავლების საქმეში სასურველად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება მასწავლებლებს, აქ მათი დატვირთვის სურათი არ იცვლება; როგორც 1922—23 წელს, ისე 1926—27 სასწ. წელს თითო მასწავლებელზე, საშუალოდ, მოდიოდა 20 მოსწავლე.

როგორ ნაწილდებიან ჩვენს სკოლებში მოსწავლენი ეროვნების მიხედვით? ამ კითხვაზე ჩვენ შემდეგი ცხრილი მოგვცემს პასუხს.

| წ ლ ე ბ ი | ქართველი | სომეხი | რუსი | თურქი | ებრ. | გერმ. | დანარჩ. | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1922—23 | 7.803 | 9.954 | 3.396 | 614 | 555 | 291 | 789 | 23.402 |
| 1923—24 | 9.407 | 11.277 | 3.821 | 733 | 998 | 266 | 950 | 27.452 |
| 1924—25 | 11.909 | 13.422 | 4.457 | 975 | 1.206 | 2.821 | 160 | 33.411 |
| 1925—26 | 12.246 | 13.440 | 4.237 | 890 | 1.159 | 2.761 | 141 | 33.389 |
| 1926—27 | 12.343 | 14.041 | 3.969 | 945 | 1.134 | 2.421 | 186 | 33.860 |

აბსოლუტურ რიცხვებით სომხები სჭარბობს თვითეულ სხვა ეროვნებას ცალკე აღებულს. მაგრამ თუ შედარებით პროცენტებს მივმართავთ მოსწავლეთა ზრდისას ეროვნების მიხედვით, დავინახავთ, რომ 1922—23 წელთან შედარებით ქართველ მოსწავლეთა რიცხვი გაზრდილა 58,1 პროცენტით, სომხებისა 41 პროცენტით, ხოლო რუსებისა 16,9 პროცენტით.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ პედაგოგების საერთო რიცხვის ზრდა. ახლა აღვნიშნოთ მათი ეროვნული შემადგენლობა წლების მიხედვით. იყვნენ პედაგოგები:

| | ქართველი | სომეხი | რუსი | თურქი | ებრ. | გერმ. | დანარჩ. | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1922—23 წ. | 428 | 374 | 211 | 30 | 20 | 33 | 37 | 1.133 |
| 1923—24 „ | 544 | 403 | 226 | 28 | 14 | 30 | 48 | 1.293 |
| 1924—25 „ | 707 | 482 | 313 | 27 | 18 | 40 | 54 | 1.641 |
| 1925—26 „ | 702 | 505 | 311 | 31 | 21 | 35 | 45 | 1.650 |
| 1926—27 „ | 703 | 523 | 302 | 28 | 21 | 27 | 34 | 1.638 |

როგორც ვხედავთ ალმასკომის შრომის სკოლებში მასწავლებელთა რიცხვის ზრდის მიხედვით ეროვნებანი შემდეგის თანამიმდევნეობით მიდიან: ქართველები,—1922—23 წელთან შედარებით გაზრდილან 64 პროცენტით,—რუსები,—გაზრდილან 43 პროცენტით, და სომხები—39 პროცენტით.

სქესის მიხედვით იყვნენ:

| | მოსწავლენი | | ს უ ლ | მასწავლებელნი | | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მამრ. | დედრ. | | მამრ. | დედრ. | |
| 1922—23 წ. | 11.850 | 11.552 | 23.402 | 349 | 784 | 1.133 |
| 1923—24 „ | 13.463 | 13.989 | 27.452 | 428 | 865 | 1.293 |
| 1924—25 „ | 16.539 | 16.872 | 33.411 | 613 | 1.028 | 1.641 |
| 1925—26 „ | 16.924 | 16.465 | 33.389 | 598 | 1.052 | 1.650 |
| 1926—27 „ | 17.248 | 16.612 | 33.860 | 620 | 1.018 | 1.638 |

როგორც ვხედავთ, 1923—24 და 1925—26 წლებში მოსწავლე ქალები სჭარბობდენ ვაჟებს, ხოლო დანარჩენ წლებში უმრავლესობას ვაჟები შეადგენდნენ. მასწავლებლებში კი უმრავლესობას ქალები შეადგენდნენ.

ზემოდ მოყვანილი ციფრები შეეხება მხოლოდ ალმასკომის გამგებლობაში მყოფ შრომის სკოლებს. მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც გვიხატავენ საერთოდ, ყველა შრომის სკოლების მდგომარეობას ტფილისში, განურჩევლად მათი ადმინისტრატიული დაქვემდებარებისა.

ავიღოთ ციფრები უკანასკნელი წლისა. ტფილისში სულ 101 შრომის სკოლა იყო. ამათში იყო ჯგუფი, მოსწავლე და მასწავლებელნი:

| სკოლის ტიპი | მათი რიცხვი | ჯგუფების რიცხვი | მოსწავლე | მასწავლებელ. |
|---|---|---|---|---|
| ოთხწლედი | 31 | 188 | 5 657 | 333 |
| შვიდწლედი | 44 | 483 | 15.937 | 763 |
| ცხრაწლედი | 26 | 404 | 14.145 | 676 |
| ს უ ლ . . | 101 | 1075 | 35.739 | 1.772 |

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, საერთოდ ტფილისში ოთხწლედში თითო ჯგუფზე მოდის 30 მოსწავლე, შვიდწლედში—33 მოსწავლე, ხოლო ცხრაწლედში—35 მოსწავლე.

35.739 მოსწავლიდან, რომელიც გასულ სასწავლო წელს ტფილისის შრომის სკოლებში სწავლობდა, იყვნენ:

| | | |
|---|---|---|
| მუშის შვილები . . . . . | 11.470 | 32,1 |
| გლეხის „ . . | 2.724 | 7,6 |
| შინა-მოსამსახურეთა „ . . | 544 | 1,5 |
| მოსამსახურეთა „ . . | 10.820 | 30,2 |
| თავის. პროფ. პირთა „ . . | 1.025 | 2,8 |
| ხელოსანთა და შინამრეწვ. „ . . | 3.566 | 9,9 |
| ვაჭრებისა და მრეწვ. „ . . | 2.348 | 6,5 |
| დანარჩენი . . . . . | 3.242 | 9,4 |
| ს უ ლ . . . | 35.739 | 100 პროც. |

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ მთელს ტფილისში, შრომის სკოლებში, სოციალური შემადგენლობის მხრივ უმრავლესობას შეადგენენ მუშის შვილები (32,1 პროცენტი საერთო რიცხვისა), შემდეგ მოსამსახურეთა შვილები (30,2 პროც.). დანარჩენ კატეგორიებში სჭარბობს ხელოსანთა და შინამრეწველთა შვილები.

ასეთია, საერთოდ ციფრები, რომლებიც გვიხატავენ ჩვენ შრომის სკოლების მდგომარეობას ტფილისში.

ლაზაძე.

# ინდუსტრიალიზაცია და განათლების ფრონტი.

პარტიის მე-XIV ყრილობამ უდიდესი საქმე დაავალე საბჭოთა კავშირს: სოციალიზმის განხორციელების უმთავრეს პირობად საკავშირო რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაცია აღიარა.

„ინდუსტრიალიზაცია—ამბობს ამხ. სტალინი არის, სასოფლო-სამეურნეო ქვეყნის სამრეწველო ქვეყნად გარდაქმნა“ო. მართალია, ზემოდ ნათქვამი შეეხება მსოფლიოს ერთ მეექვსედს, მაგრამ საერთაშორისო რევოლუციის თვალსაზრისით, საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არ არის ვიწრო ნაციონალური პრობლემა და ინტერნაციონალურ სოციალიზმის განხორციელება უშუალოდ დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენად შესძლებს ჩვენი პროლეტარიატი და გლეხობა დაწყებული სამრეწველო რეფორმის წარმატებით ხელმძღვანელობას. საერთაშორისო მებრძოლ მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს, რომ პროლეტარულ დიქტატურის პირველი რესპუბლიკა არ იყოს კაპიტალისტურ მეურნეობის აგრარული დანართი, და ამიტომ ჩვენც ავიღეთ თავზე ძნელი საქმე (განსაკუთრებით ჩვენს პირობებში) საწარმოო იარაღების საკუთარ ძალებით დამზადება ჩვენშივე. ამ საქმეს ესაჭიროება კოლოსალური თანხები და მთავრობამაც მიმართა შინაურ სესხს, რაც ყოველ ეჭვს გარეშეა, გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს.

ს. ს. რ. კ. ინდუსტრიალიზაციის პესპექტივა ბრწყინვალეა და ის მოწოდებულია ეკონომიურად გაამაგროს ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც 10 წლის თავს ზეიმობს ა/წ. 7 ნოემბერს. მეათე ოქტომბერი გადის მის შემდეგ რაც მუშამ და გლეხმა დაეპატრონა ძალა-უფლებას და დაწყებული საქმე ქვეყნის ეკონომიურად განახლების მხოლოდ იმის გარანტიას იძლევა, რომ ეს რეჟიმი უფრო განმტკიცდება. ამით აიხსნება სწორედ საერთაშორისო ბურჟუაზიის გაშმაგებული სამხედრო მზადება ჩვენს წინააღმდეგ. კაპიტალი კარგად გრძნობს რომ ჩვენში დაწყებული სამრეწველო რევოლუციის გამარჯვება ათასჯერ დააჩქარებს დამყაყებულ წყობილების კატასტროფას და ამიტომ მას სურს სამხედრო ავანტიურის გზით შეაჩეროს ის, რაც ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს.

თავისებურობა ს. ს. რ. კ. ინდუსტრიალიზაციის მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება მიზნად ისახავს აგრარულ ქვეყნის **სოციალისტურ**-სამრეწვე-

ლო რესპუბლიკად გარდაქმნას. ამგვარი სამეურნეო ტრანსფორმაცია კი უსათუოდ ითხოვს ადამიანთა გარდაქმნასაც, რადგან „ძველი თავითა და ხელებით“ არ შეიძლება არც ჩამორჩენილ საწარმოო იარაღის გაუმჯობესება და არც სხვის მიერ გაუმჯობესებულ იარაღით სარგებლობა. აქედან ირკვევა, რომ საჭიროა მთელი ქვეყნის კვალიფიკაციის ამაღლება და ეს კი **სწავლის** გარეშე შეუძლებელია. სწავლის საქმე მინდობილი აქვს მასწავლებელს, ამიტომ მისი როლი და პასუხისმგებლობა საბჭოთა საზოგადოების წინაშე განუზომელია. მან უნდა აღზარდოს, უკეთ, გამოიმუშაოს ახალი ადამიანი, ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მოქალაქე, რომელიც შესაძლებ შესწიროს თავის ენერგია სოციალიზმის შენების საქმეს. ცაკის საიუბილეო სესიის დადგენილებით საბჭოთა კავშირში იწყება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის მზადება. ამის განხორციელება დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების ზოდისაგან. და უკანასკნელი კი დაკავშირებულია კვალიფიკაციის ზრდასთან.

გამოდის, რომ სამუშაო დროის ერთი საათით შემცირების რეალიზაცია დამოკიდებულია მშრომელთა კვალიფიკაციისაგან. რადგან კვალიფიკაციის ამაღლების საქმე საერთოდ სკოლას აქვს მინდობილი, ამიტომ გასაგებია თუ რა როლი უნდა ითამაშოს მან საიუბილეო სესიის დადგენილების განხორციელებაში. თუ როდესმე იყო საჭირო მასწავლებლის შეიარაღება მარქსისტულ-ლენინით განსაკუთრებით საჭიროა ის ახლა, ინდუსტრიალიზაციის დაწყების მომენტთან დაკავშირებით, რადგან მარქსისტული შრომის სკოლა თავის სულით უპირველეს ყოვლისა ინდუსტრიალურია. ჩვენი სამეურნეო ცხოვრების განვითარების ტემპი და ოქტომბრის 10 წლის თავთან დაკავშირებული პერსპექტივა სრულ იმედს იძლევა, რომ ჩვენ შევსძლებთ და პრაქტიკულად მოვაგვარებთ სწავლის ინდუსტრიასთან ჰარმონიულად შეთანხმებას. რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთი ან ორი წლის საქმე, მით უმეტეს საქართველოში, რომლის ეკონომიკაში თითქმის 100%-ით წვრილი მეურნეობაა გაბატონებული.

ინდუსტრიალიზაციამ უნდა შესცვალოს ეს მდგომარეობა რადიკალურად და ეკონომიკის უმაღლეს ფორმებს აზიაროს ის კუთხე, სადაც კიდევ არის დარჩენილი ნატურალურ მეურნეობის ელემენტები.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ 10 ოქტომბრის წლის თავიდან დაიწყება ახალი ერა ჩვენს მეურნეობაში, და საქართველო სწრაფად წავა წინ სამრეწველო ქვეყნად გარდაქმნის გზაზე. ამას კი მოჰყვება ერის ყველა ნაწილების მჭიდრო შეკავშირება, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. როგორც ცნობილია, სწავლულთა შორის საქართველოში სჭარბობს ჰუმანიტარული ინტელიგენცია და უმუშევრობაც განსაკუთრებით მათშია ფეხმოკიდებული.

უდავოა, რომ ამ მოვლენის მიზეზი ჩვენს ეკონომიკაში მარხია. ახლა კი ახალ სამეურნეო ამოცანებთან დაკავშირებით, მდგომარეობა არსებითად უნდა

შეიცვალოს და ჩვენს წინაშე დგება საკითხი სპეციალისტ ინტელიგენტთა კადრის შექნისა.

მაქსიმუმი ყურადღებისა უნდა მივაქციოთ სპეც-ტეხნიკუმებისა, საქარხნო-საფაბრიკო სკოლების და ამის მზგავს დაწესებულებათა გამრავლებას, რომ საჭირო მომენტისათვის გვყავდეს საკმაო რიცხვი ინჟენერების, ტეხნიკოსების, ელექტრო-ქმოსნების, ზეინკალების და სხვ.

უსაფუძვლოა შიში, რომ ასეთ ინტელიგენციასაც შეიძლება ჰუმანისტების ბედი ეწიოს, რადგან სპეციალისტთა კონტიგენტის ზრდა იწარმოებს გეგმიანად მრეწველობის განვითარებისა და მოთხოვნილების მიხედვით. საქართველოს ეკონომიური სინამდვილე ჯერ ხნობით ყოველ შემთხვევაში დაზღვეულია „სპეცთა“ სიჭარბისაგან და ჩვენ მაოლოდ გ მართებს ფიქრი აღვზარდოთ ისეთი კულტურული ძალა, რომელიც შესძლებს გახდეს აქტიური მონაწილე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის.

დასახელებული კულტურული ძალა უნდა მოგვცეს სკოლამ. მან უნდა აღზარდოს ახალი ტიპის ადამიანი და ამიტომაც სკოლის საკითხს ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს დანარჩენ ამოცანათა შორის.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ სკოლა იძლევა ინდუსტრიალიზაციისათვის საჭირო მაღალ კვალიფიკაციის მუშაკებს, და ინდუსტრიალიზაცია კი გზაა სოციალიზმისაკენ.

ჩვენ გავივლით ამ გზას და მივაღწევთ სოციალიზმს. ამის თავდებია ოქტომბრის 10 წელი და ის ახალი სკოლა, რომელმაც უნდა აღზარდოს სოციალიზმისათვის მებრძოლ ენტუზიაზსტთა ლეგიონები.

# თვითგანვითარებისათვის

## ოქტომბრის რევოლუციის შემსწავლელი წრეები

**ოქტომბრის რევოლუციის შემსწავლელ წრეების პროგრამა ქალაქისათვის (12 საათი).**

I. **თებერვლის რევოლუცია.** მიზეზები (მეფის თვითმპყრობელობის სამხედრო განადგურება, ეკონომიური გაპარტახება, თვითმპყრობელობის სრული გაკოტრება, არმიის, მუშების, გლეხობის, ბურჟუაზიის უკმაყოფილება). მამოძრავებელი ძალები, პროლეტარიატის არა საკმაო კლასობრივ შეგნების და დაურაზმელობის გამო „ძალა-უფლება ფაქტიურად გადადის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ხელში სოციალ-შემთანხმებლების მენშევიკების და ესერების საშუალებით. საბჭოე ი, ორძალაუფლებიანობა. ლენინის აპრილის თეზისები (ძალა-უფლება საბჭოებს, დემოკრატიულ რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლა). ბოლშევიკური პარტიის აპრილის კონფერენცია. ამხ. კამენევის შემცდარი თვალსაზრისი (პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურა). საბჭოების ხელში ძალა-უფლების მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობა.

II. **კლასები და პარტია რევოლუციის ძირითად საკითხებში.** საკითხი ომისა და ზავის შესახებ და სხვადასხვა კლასებისა და პოლიტიკურ პარტიების მხრივ მისდამი დამოკიდებულება. ძალდატანება ანტანტის მხრივ. მილიუკოვის ნოტა 18 აპრილს. 18 ივნისის შეტევა. დახვრეტები ჯარში. არმიის ბოლშევიზაცია.

პროლეტარიატის ეკონომიური მდგომარეობა. განადგურება და შიმშილი. 8 საათის სამუშაო დღე. კონტროლი წარმოებაზე. ბურჟუაზიის მუქარა მუშების „სიმშილის ჩონჩხიანი ხელით“ დახმარების შესახებ.

სხვადასხვა კლასების და პარტიების დამოკიდებულება აგრარულ-გლეხურ საკითხისადმი. საკითხის გადაჭრის გადიდება დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. აგრარული მოძრაობა და მის წინააღმდეგ „სოციალისტების“ ღონისძიებანი. გლეხობაში რევოლუციონური განწყობილების და პროლეტარიატის და მისი პარტიისადმი ნდობის გაძლიერება.

დაჩაგრულ ერების მიმართ ტარდება იგივე იმპერიალისტური პოლიტიკა მთლიანი, განუყოფელი რუსეთი. თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის სოციალისტური დასაყრდენი. ეროვნული საკითხის გადაჭრის „პრაქ-

ტიკა“ ფინეთის სოც.-დემ. სეიმის გარეკვა, უკრაინელებისადმი ჯავშნიან მუშტით დამუქრება.

III. **ივლისის დღეებიდან ოქტომბრამდე.** კლასობრივ წინააღმდეგობათა და მუშების და არმიის უკმაყოფილების ზრდა. ივლისის გამოსვლები ლენინგრადში. ბოლშევიკების როლი მათში. აჯანყების ჩაქრობა და მისი მიზეზები. კონტრ-რევოლუციის გამარჯვება და მზადება შემდეგი შეტევისათვის. (რიგის გადაცემა გერმანელებზე და სხვ.) დემოკრატიული თათბირი და კონტრ-რევოლუციის ძალთა მობილიზაცია. საბჭოების მიერ ძალა-უფლების მშვიდობიანი დაპყრობა. იხსნება დღის წესრიგიდან ლოზუნგი შეიარაღებული აჯანყებისა. კორნილოვის ავანტიურა, მისი დამარცხება და მიზეზები. კონტრ-რევოლუცია აპირებს ზურგში მახვილის ჩაცემას—გერმანელებისათვის პეტროგრადის დათმობას. მათთან სეპარატიული ზავის შეკვრას, რევოლუციის განადგურებას. შემთანხმებელ პარტიების გაკოტრება. სტიქიური მასიური მოძრაობა, ბოლშევიზმის გავლენის სტიქიური ზრდა. ბოლშევიკების მიერ პეტროგრადის და მოსკოვის საბჭოების დაპყრობა. გლეხური აჯანყებანი. წინასწარი პარლამენტი. საბჭოების მე-II ყრილობა და სხვადასხვა პარტიების მისდამი დამოკიდებულება. შემთანხმებლების მიერ ჩაშლის ცდა.

IV. **ოქტომბრის რევოლუცია.** ც. კ. დადგენილება აჯანყების მომზადების შესახებ. ლენინის როლი საკითხის დასმის და პროპაგანდის საქმეში. ზინოვიევის და კამენევის თვალსაზრისი. მათი ანტი-პარტიული საქციელი (აჯანყების მზადების წინააღმდეგ პროტესტების გამოქვეყნება უპარტიო პრესაში, ლენინის ანალიზი—გამარჯვების პირობები ბოლშ. ძალთა განწყობილება. გენიალური წინათ-გრძნობა (ინტუაცია), აჯანყების მომენტის შერჩევა, აჯანყების მომზადება და ჩატარება პეტროგრადსა და მოსკოვში. ლენინი და პარტია ოქტომბრის დღეებში. „დეზერტირები, რევოლუციის შტრეიკბრეხერები“ (ზინოვიევის, კამენევის და ამხ. ამხ. ჯუგაშვილის საქციელი). ოქტომბრის პოლიტიკური და ტაქტიკური გაკვეთილები. პროლეტარიატის უმრავლესობის დაპყრობა. ბურჟუაზიულ და შემთანხმებელ პარტიების ოპოზიცია წვრილ-ბურჟუაზიულ კლასებსა და არმიაში, სტიქიური მასიური მოძრაობა, გადამწყვეტ პუნქტში და გადამწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგე უფრო დიდი ძალების შეჯახება და სხვ. ტროცკის „ოქტომბრის გაკვეთილები“. ოქტომბერი პირველი პროლეტარული რევოლუციაა. ოქტომბრის მსოფლიო მნიშვნელობა.

V. **ოქტომბრის მონაპოვრები.** სამოქალაქო ომი, საერთაშორისო იმპერიალიზმი, საერთაშორისო პროლეტარიატი და საბჭოთა რუსეთი, ოქტომბრის გამარჯვება პროვინციაში. ოქტომბრის მიერ ომის და ზავის, გლეხთა და ეროვნულ საკითხების გადაჭრა. (ათანადო დეკრეტები) გერმანელთა შემოტევა, „მეამარჯვენე“ კომუნიზმის შეცდომები და ბრესტის ზავი. სამოქალაქო ომის დასაწყისი (კორნილოვი, კრასნოვი, ალექსეევი, დუროვი და სხვ.). საერთაშორისო

იმპერიალიზმი და შინაური კონტრ-რევოლუცია. რატომ შეხვდა ცუდად საერთაშორისო იმპერიალიზმი ოქტომბერს. საერთაშორისო იმპერიალიზმის ხარჯზე იარაღდება თეთრგვარდიელთა არმია. სოციალ-შემთანხმებლები იმპერიალიზმის აგენტები და თეთრგვარდიელ გენერლების თანაშემწენი. ინტერვენცია. კოლჩაკი, დენიკინი, იუდენიჩი. საბჭოთა რუსეთი დაღუპვის პირზე. მასების გმირობა და მათი შემომქმედი ძალები, წითელ არმიის ძლევა-მოსილი შეტევა და თეთრგვარდიელთა განადგურება. ომი თეთრ-პოლონეთთან. ახალი ეკონომიურ პოლიტიკის გზით სოციალისტურ აღმშენებლობისაკენ. **მიღწევები 10 წლის განმავლობაში.**

VI. **ოქტომბერი ამიერ კავკასიასა და საქართველოში.** როგორ შეხვდენ ოქტომბერს ამიერ-კავკასიის შემთანხმებლები. ჩამოშორება რევოლუციონურ რუსეთისაგან. მის წინააღმდეგ ბარიერის შექმნის და კონტრ-რევოლუციის ძალთა მობილიზაციის სურვილი სოციალისტურ რევოლუციაზე შესატევად. ამიერ-კავკასიის სეიმი. მისი დაშლა და ამის მიზეზები. იმპერიალიზმის როლი საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის „დამოუკიდებელ" სახელმწიფოების წარმოშობაში. აღნიშნულ რესპუბლიკების როლი რუსეთის სამოქალაქო ომში (აქტიური დახმარება თეთრგვარდიელთა არმიისადმი). ეს რესპუბლიკები წარმოადგენს იმპერიალიზმის ბაზას პროლეტარულ რევოლუციის წინააღმდეგ—ლოზუნგი „ადმოსავლეთის ფანატიკოსებს ჩვენ ვამჯობინებთ იმპერიალისტებს". მშრომელ მასების მდგომარეობა. იმპერიალისტების და მენშევიკების უღელქვეშ—შოვინიზმის ველური თარეში, ძმათა შორის ომი, ხოცვა-ჟლეტა და იმპერიალისტთა აღვირ-ახსნილობა, ფინანსიურ-ეკონომიური კატასტროფა, მენშევიზმის პოლიტიკური გახრწნა „ქვეყანა დაღუპვისაკენ მიდის"—გლეხთა აჯანყება, მუშათა გაფიცვების ზრდა. რატომ შემოვიდა საქართველოში პირველი პროლეტარული რევოლუციის ლაშქარი. (საქართველოს მშრომელთა დასახმარებლად მათი განთავისუფლების საქმეში და კონტრ-რევოლუციის და იმპერიალიზმის ბუდის გასანადგურებლად,—რომელიც წარმოადგენდა პროლეტარულ რევოლუციის პერმანენტულ საფრთხეს).

საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში 10 წლის თავზე (პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული).

## ლიტერატურა (რუსულ ენაზე)

**ლენინი:** აპრილის თეზისები. შესძლებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალა-უფლების შენარჩუნებას. ივლისის დღეების შესახებ. ოქტომბრისაკენ მიმავალ გზების შესახებ. მე-XII ტ. ნაწ. I და II.

**სტალინი:** ოქტომბრისაკენ მიმავალ გზებზე. განსაკუთრებით წერილი რუსკომუნისტების ტაქტიკის შესახებ.

**ბუხარინი:** კლასობრივი ბრძოლა და რევოლუცია რუსეთში. იმპერიალიზმის დიქტატურიდან პროლეტარიატის დიქტატურისკენ.

**პიონტოვსკი:** ოქტომბრის რევოლუცია, მისი წინა პირობები და მსვლელობა. ბროშურების მთელი რიგი ოქტომბრის შესახებ. მაგალითად იაროსლავსკის, რადეკის და სხვათა. ამიერ-კავკასიის შესახებ, ტროცკისა—იმპერიალიზმსა და რევოლუციის შორის.

**ამია:** ქართული ჟირონდა.

**რუბენი:** ქართული ჟირონდის გახრწნა.

**მახარაძე:** საბჭოთა საქართველოს მიღწევები 10 წლის თავისთვის.

## ქართულ ენაზე.

1) „ოქტომბერი" გამოცემა „მნათობი"—24 წ.

2) „წითელი ოქტომბერი"—1924 წ.

3) ოქტომბრის დღეები (სკოლებისთვის და კოლექტივებისთვის).

გარდა ამისა საჭიროა წაიკითხოთ შემდეგი წიგნები:

ახალგაზრდა ლენინელი. ოქტომბრის № 1924 წ.

**ვარდინ-მგელაძე.** ათას ცხრაას ჩვიდმეტი წელი. წერილი მნათობში № 2. 1924 წ.

**ლენინი.** ოქტომბრის რევოლუციის 4 წლის თავის გამო. ტომი XVIII გვ. 415.

ოქტომბრის რევოლუცია და საქართველო. (წერილების კრებული) ს. კ. პ. სააგიტ-საპროპაგ. განყოფილების გამოცემა 1925 წ.

**ორახელაშვილი მამია.** რით არის ოქტომბერი მომხიბლავი. წერილი. „ახალსკოლისაკენ" № 10. 1926 წ.

**ოქტომბრის გზით** (მოგონებათა კრებული). გამოცემა ს. კ. სააგიტაციო-საპროპ. განყოფილებისა ტფ. 1923 წ.

**ტროცკი ლ.** ოქტომბრის რევოლუცია საქ. კ. პ. ც. კ. გამოცემა ტფ. 1922 წ.

**თალაკვაძე.** დიადი ოქტომბერი. (წარსულის ფურცელი) „რევოლუციის მატიანე" № 3. 1923 წ.

**რიდი ჯონ.** ათი დღე რამაც შესძრა ქვეყნიერება. ტფ. 1923 წ. გამოცემა „წითელი წიგნი".

## I. Перед октябрем

1) **Ленин** В. И. Классы и партии накануне октября, (сборник) составлен, снабдил предисловием и примечанием В. М. Пондоилов.

4) Комашчиков, С. Как рождалось Октябрская революция.

## II. История октября

**Ленин, Н.** Октябрская революция 1917 г. Речи, статьи. письма.

**Рид, Джон.** 10 дней, которые потрясли мир.

**Сефр, С. Я.** Революция 1917 года в Закавказье

4) **Соколов, А.** Три революции Очерк истории револ. движения в России КТВ.

5) **Ходоровский, И.** Великая октябрская революция.

### III. Вл. И. Ленин и октябрская револ.

1. Вл. И. Ленин и октябрская революция. Статьи и речи 1917 г.

2. **Бонч-Бруевич, Вл.** Ленин в России после февральск. революции до третьиюльскаго вооруженного выступления пролетариата и солдат в петрограде (по личным воспоминаниям),

3. **Ленин и октябрский переворот.**—Как жил и работал и что писал В. И. Ленин накануне октября и в октябрские дни.

### V. Октябрь и труженица

**1. Лилина**, З. Октябр и трудящиеся женщины.

2· **Дочери** революции.—сборник·

### VI. ВКП(б)И Октябр В. И. Ленин и октябрская революция

**Сталин, И.** Октябрская революция и тактика русских коммунистов.

3) **Ярославскей, Е.** Партия болшевиков в 1917 году.

4) **Вторая и третья Петроградская и общегородская конференция** большевиков в июле и октябре 1917 г. Протокол и матерьялы

### VIII. Наши достижения за 10 лет.

1· **Серабьянов, В.** Итоги восстановительного периода.

2. **Лозовский, А.** Девять лет.

3. **Орский, Р.** Наши достижсния за 9 лет.

4. **Куибышев,** В, Промышленность СССР.


5. **Ленин, В. И.** Советская власть и положение женщины.

6. **Меланченский, Б.** Пути и достижения професионального движения СССР после VI С'езда профессионалных Союзов.

7. Профессиональные Союза ССР Грузии за 1926—1927.

**Цхакая, М.** Великое десятилетие октября.

**Сталин.** Октябрская революция. Статьи Изд. Заккнига.




განათლების სახალხო კომისარიატის დიაგრამა. გაიგზავნა უცხოეთში საბჭოთა გამოფენისათვის.

ფასი 60 ქაპ.

ბ 20 ბუ
1927